ახალი განათლება

11-17.10.2018

№29 (823) გაგრძელება 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„უზარმაზარი პასუხისმგებლობაა ატარებდე საუკეთესო მასწავლებლის ტიტულს. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შევაყვარო ეს პროფესია ჩემს მოსწავლეებს და კიდევ ბევრი მასწავლებელი გავზარდო.“
მანანა კაპანაძე
„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ 2018 წლის გამარჯვებული

გვერდი 2

კოლეჯი 135-წლიანი ისტორიით

გვერდი 8

სკოლა უნდა განვითარდეს, როგორც ერთიანი ინსტიტუცია

გვ. 4

„მნიშვნელოვანია, გავაჩინოთ ნდობა სკოლასა და სამინისტროს შორის, სკოლები და მასწავლებლები სამინისტროს მხოლოდ „დამსჯელ“ ან „შემმოწმებელ“ ორგანოდ კი არა, პირველ რიგში, მხარდამჭერად უნდა აღიქვამდნენ. ამის მიღწევა არც ისე იოლი იქნება, მაგრამ ვეცდებით, ეს 150-ე სკოლის და შემდეგ პილოტირებაში ჩართული დანარჩენი სკოლების მაგალითზე დავანახოთ.“ – მარიამ ჩიქობავა

როცა სკოლა სიახლეებისთვის მზადაა

გვ. 5

გვესაუბრებიან პილოტირებაში ჩართული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები

პედაგოგთა დასახმარებლად

ფასი – 10 ლარი

ფასი – 12 ლარი

ფასი – 10 ლარი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

უზარმაზარი პასუხისმგებლობაა ატარებდე საუკეთესო მასწავლებლის ტიტულს

ლალი ჯელაძე

5 ოქტომბერს, „ილიას ბაღში“, გრანდიოზულმა წვეულებამ განათლების სისტემის გულშემატკივრებს მოუყარა თავი, იმ საღამოს ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მფლობელი უნდა გამოვლენილიყო. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ კოალიციის „განათლება ყველასათვის – საქართველო“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა – ინიციატივა მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize“ ნაწილია. გასულ წელს, პირველი ჯილდოს მფლობელი გურიის ერთი ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებელი **ლადო აფხაზავა** გახდა. კონკურსმა მშვენიერი სტარტი აიღო და მთელი წლის განმავლობაში, წლის საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მფლობელმა, არაერთი აქტივობითა და ინიციატივით, არაერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რას ნიშნავს ტიტული – შენივე საქმიანობით გაამართლო „რჩეულობა“. ალბათ, ძალიან ბევრი დამეთანხმება, რომ ლადო ამას დღემდე ახერხებს. ცერემონიალს მივუბრუნდები და გეტყვით, რომ საუკეთესოდ ორგანიზებული წვეულება ნამდვილად იყო იმის დასტური, რომ მასწავლებლობას საზოგადოება პრესტიჟულ პროფესიად აღიარებს და, თუნდაც ამ კონკურსით, პედაგოგებს აძლევს მოტივაციას, გახდნენ უკეთესები ან სულაც რჩეულები.

ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს, და, რასაკვირველია, მეც მყავდა ჩემი ფავორიტი, თუმცა, ფინალისტებიდან ჟიურის საუკეთესოს ამორჩევა ნამდვილად გაუჭირდებოდა. ხუთეული ასე დაკომპლექტდა: **ელისო აბრამიშვილი** – ქალაქ საჩხერის სსიპ ილია ჭავჭავაძის №2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი; **ჯაბა ლაბაძე** – დაბა სურამის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი; **ლელა კოტორაშვილი** – თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **დაჩი ნანობაშვილი** – თბილისის საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მათემატიკის მასწავლებელი და **მანანა კაპეტივაძე** – ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისურისა და რუსული ენების მასწავლებელი. მათ უკან ძალიან საინტერესო და მართლაც გამორჩეული პედაგოგიური საქმიანობა დგას. ჟიურის რჩეული **მანანა კაპეტივაძე** გახდა. ჯილდოს მფლობელს, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალურმა სპონსორმა, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა 10 000 ლარი გადასცა, ხოლო დანარჩენი ოთხი ფინალისტი „ლიბერთი ბანკმა“ დააჯილდოვა.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ პედაგოგებისთვის დიდი მოტივატორია. კოალიცია ძალიან კარგ საქმეს აკეთებს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლად და საუკეთესო მასწავლებლების გამოსავლენად! მადლობა ამისთვის! უზარმაზარი პასუხისმგებლობაა ატარებდე საუკეთესო მასწავლებლის ტიტულს. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შევაყვარო ეს პროფესია ჩემს მოსწავლეებს და კიდევ ბევრი მასწავლებელი გავზარდო.“ – ეს პირველი კომენტარია, რომელიც წლის რჩეულმა მასწავლებელმა გააკეთა. მას გასულ წელსაც სთხოვდნენ ოჯახიც, მეგობრებიც და სკოლის ადმინისტრაციაც, მონაწილეობა მიეღო კონკურსში, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ცოტა სკეპტიკურად იყო განწყობილი, რადგან არ ეგონა ამ მასშტაბის და ასეთი ობიექტური კონკურსი თუ ჩატარდებოდა. ამბობს, რომ ცდებოდა – *„არ გავითვალისწინე ჩემი უფროსი ვაჟის თხოვნა და ამით გული დავწყვიტე.“* სამაგიეროდ, წლევანდელი კონკურსით გააბედნიერა შვილი, **გიორგი ებანოიძე**, რომელმაც დაჯილდოების ცერემონიალის ამსახველი საუკეთესო ფოტორეპორტაჟი სოციალურ ქსელში გაავრცელა წარწერით: *„დღეს ძალიან მაგარი დღე იყო. დედაჩემი გახდა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი. უბედნიერესი ვარ!“*

ქალბატონ მანანაზე, წელს მაინც მიეღო მონაწილეობა ეროვნული ჯილდოს კონკურსში, გასული წლის ფინალისტის, **ნათია ფურცელაძის** წახალისებამ იქონია დიდი გავლენა. *„შარშან შორიდან მაინც ვადევნებდი თვალს კონკურსის ეტაპებს და ვგულშემატკივრობდი კოლეგებს, განსაკუთრებით ერთ-ერთ ფინალისტს – ნათია ფუცელაძეს. ეს მხარდაჭერა, იმის გარდა, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მასწავლებელია, იმითაც იყო განპირობებული, რომ ის ბაღდათის სკოლის კურსდამთავრებულია. ჯილდოს პოპულარიზაციის ფარგლებში დაგეგმილ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, ნათია ფურცელაძე ბაღდათს სტუმრობდა, მეც მივედი, მისი გაცნობა მინდოდა. ნათიამ მითხრა, რომ თვალს ადევნებდა ჩემს აქტივობებს და მქონდა ჯილდოს ათეულში მოხვედრის შანსი. მისმა წახალისებამ, ოჯახის წევრებისა და დირექტორის დაჟინებულმა თხოვნამ მიბიძგა, გადამედგა ეს ნაბიჯი. როცა აპლიკაციის შევსება დავასრულე, ვიდრე გადავაგზავნიდი, კიდევ ერთხელ გადავხედე და გავიფიქრე, რომც არ გავიმარჯვო, მარტო ამისთვის ღირდა მონაწილეობის მიღება – ერთ აპლიკაციაში თავი მოვუყარე მთელ ჩემს განვლილ პროფესიულ გზას, ჩემი საქმიანობის თვითშეფასება მოვახდინე. საოცარი განცდა დამეუფლა, ადრე ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ.*

*უღრმესი მადლობა „მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს“, ქალბატონ **ირინა ხანთაძეს**, ბატონებს: **გიორგი ჭანტურიას** და **რევაზ აფხაზავას**, ჩვენი ჟიურის თითოეულ წევრს ჩემი, თითქმის, 30-წლიანი საქმიანობისა და შრომის დაფასებისთვის. ჩემთვის უდიდესი პატივია პირადად გამეცნო ჟიურის ყველა წევრი, რომელთა მიმართაც ყოველთვის დიდი პატივისცემა გამაჩნდა.“*

ქალბატონი მანანა უფროსი მასწავლებელია და ამბობს, რომ აქამდე ვერ მოიცალა, კარიერული წინსვლისთვისაც მიეხედა, რეალურად ამისთვის დრო აღარ რჩება. *„მხოლოდ სკოლის მასწავლებელი არ ვარ, რომელიც გაკვეთილს ჩაატარებს და დანარჩენ დროს რეპეტიტორობას დაუთმობს. ამით არ შემოვიფარგლები, ყოველთვის აქტიური ვიყავი და, რაც მთავარია, მიყვარს ახლის ძიება, საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა და რეალიზება. 10 წელი ვიმუშავე ბაღდათის პირველ საჯარო სკოლაში და მივხვდი, რომ იქ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთე, ახლა სხვა სივრცე და გარემო მჭირდებოდა. შევიცვალე სკოლა და მასწავლებლად ქუთაისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში გადავედი. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანებისა და პროფესიონალების გარემოცვაში ვიყავი, ორ წელზე მეტი ვერც იქ გავჩერდი. ისევ დავიწყე ძიება. დავბრუნდი ბაღდათში და მეორე საჯარო სკოლაში გავაგრძელე მუშაობა. ბევრი საათი არასოდეს მქონია, არც ახლა მაქვს – 6 საათი ინგლისურში მაქვს და მას შემდეგ, რაც რუსულ ენაში დავადასტურე კომპეტენცია ორი საათი დამემატა. პარალელურად, ინოვაციების ცენტრს ვხელმძღვანელობ ბაღდათში, სადაც ბევრი რამ კეთდება მოსწავლეებისთვის.“*

ეროვნული ჯილდოს მფლობელი წარმატებით იყენებს უცხო ენის სწავლების კომუნიკაციურ მეთოდს და პრაქტიკაში აჩვენებს, რომ შესაძლებელია სკოლაში უცხო ენა კომუნიკაციურ დონეზე ვასწავლოთ. სწავლების პროცესი გამოხატულად ინტერაქტიულია და მრავალფეროვან მეთოდებს ეფუძნება. მოსწავლეებისთვის ის მხოლოდ საგნის მასწავლებელი არ არის, მეგობარი, აღმზრდელი და დამრიგებელია. ბავშვებიც ხშირად მიმართავენ რჩევისთვის, მხარდაჭერისთვის. თავისი საქმიანობით, წლის რჩეული მასწავლებელი ხელს უწყობს ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების განვითარებასაც. ბევრი წარმატებული პროექტი განახორციელა არაფორმალური განათლების, სპორტული, კულტურული ღონისძიებების კუთხით. მისი გავლენა რომ სცდება საკუთარ მოსწავლეებსა და სასკოლო გარემოს, ამის დასტური ის მრავალფეროვანი საქმიანობაა, რომელსაც მანანა მასწავლებელი ეწევა.

*„მშვიდობის კორპუსში“ განათლების ტრენერად 9 წელი ვიმუშავე, ამერიკელ მოხალისეებს ვასწავლიდი როგორ ესწავლებინათ ქართულ სკოლებში – რა მიდგომები გამოეყენებინათ. ჩემს სკოლაში ერთ-ერთმა მოხალისემ ორი წელი იმუშავა, ერთად ბევრი რამ გავაკეთეთ. **არი ჰაურსი** ძალიან კარგი ახალგაზრდაა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მომავალში სხვა პროფესიას გაჰყოლოდა, მაგრამ ჩვენთან მუშაობის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და პროფესიაში დარჩა. მითხრა: მანანა დეიდა (ასე მეძახის), თქვენ გამო გადავწყვიტე, მასწავლებელად მუშაობა გავაგრძელოო. ჩვენ ახლაც ვთანამშრომლობთ, კალიფორნიის შტატის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის, სკაიპით გავაცანი და დავამეგობრე ჩვენი მოსწავლეები, წინ დიდი გეგმები გვაქვს და ერთობლივად ვაპირებთ პროექტების განხორციელებას, ჩვენივე მოსწავლეების ჩართულობით.“* – ამბობს ქალბატონი მანანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამას აქამდეც აკეთებდა, ახლა უფრო ინტენსიურად იმუშავებს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებაზე: *„დავთვალე და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ნამოწაფრებიდან 12-მა ინგლისური ენის მასწავლებლობა აირჩია, საქართველოს სხვადასხვა სკოლებშიც ასწავლიან და სხვადასხვა ძალიან წარმატებულ ადგილობრივ თუ უცხოურ ორგანიზაციებშიც არიან დასაქმებულები. ძალიან ამაყი ვარ, რადგან მასწავლებლისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა შენი ყოფილი მოსწავლეების წარმატებების შესახებ გესმის ან ხედავ.“*

რა არის ქართველი მასწავლებლის ყველაზე დიდი პრობლემა? ამ კითხვაზე ზოგადი პასუხის გაცემას თავს არიდებს, რადგან ფიქრობს: *„ყველას თავისი პრობლემა და ხედვა აქვს, ამიტომ უმჯობესია, ჩემს მაგალითზე გითხრათ. შეიძლება ცოტა ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი სურვილია, მოსწავლეებმა მოსმენა ისწავლონ. მოუსმინონ ერთმანეთს, სხვებს, ნებისმიერ ადამიანს ბოლომდე უნდა მოუსმინონ. შეიძლება ეს სკოლაში ვასწავლოთ, მაგრამ ოჯახში არ ჰქონდეთ გაცნობიერებული მოსმენის ფასი, ამიტომ ჩვენს მოსწავლეებში ეს პრობლემაა.*

ჩემი სურვილია, ასევე, მასწავლებელს მეტი თავისუფლება მიეცეს. თუმცა, მე არ ვგრძნობ თავს შეზღუდულად, რადგან ყოველთვის ვგეგმავ და ვახორციელებ იმ აქტივობებს, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციაში მართებულად მივიჩნევ. მთავარია, შედეგზე გახვიდე. მასწავლებელმა უნდა შეძლოს იყოს კრეატიული, ჩაატაროს საინტერესო გაკვეთილები, გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომები, რადგან ყველა ბავშვი განსხვავებულია, ზოგი ადვილად სწავლობს მოსმენით, ზოგი – ვიზუალური მასალით. მასწავლებელმა ისე უნდა დააბალანსოს გაკვეთილი, რომ ახსნილი მასალა ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იყოს.“

რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მასწავლებლის პროფესია? ამ კითხვას ხშირად ვუსვამ ჩემს რესპონდენტებს, რადგან განათლების სისტემა რეალურად დგას ამ პრობლემის წინაშე და პროფესიას გაახალგაზრდავება ნამდვილად სჭირდება. თუმცა, დაჯილდოების ცერემონიალმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პროფესიის გაახალგაზრდავებისკენ მიმართული ტენდენცია ნამდვილად შეიმჩნევა და თან, ბოლო დროს, ახალგაზრდა მამაკაცებიც ირჩევენ ამ პროფესიას – საუკეთესო ათეულიდან უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდა მასწავლებელია. ქალბატონი მანანა ფიქრობს, რომ ახალგაზრდებმა თუნდაც იმიტომ უნდა აირჩიონ ეს პროფესია, რომ ბავშვებს უფრო მეტად მოსწონთ ახალგაზრდა მასწავლებელი, უფრო იოლად მიჰყვებიან და, გარკვეულწილად, მისი სახით თანამოაზრესაც პოულობენ. ამის გარდა, მასწავლებლობაზე უკეთესი პროფესია ქვეყანაზე არ ეგულება, *„რამდენი წლისაც უნდა იყო, მოსწავლეებთან ურთიერთობით თავს მუდმივად ახალგაზრდად გრძნობ, სულ ბედნიერი ხარ. რასაკვირველია, არის ჩავარდნებიც, როცა ფიქრობ, რომ ვერ მიაღწიე მიზანს/შედეგს ან რაღაც ისე არ წავიდა, როგორც გეგმავდი, მაგრამ წარმატება ნელ-ნელა მოდის, ერთბაშად წარმატებული ვერც ერთ პროფესიაში ვერ იქნები. მართალია, ბევრი უნდა იშრომო, მაგრამ, საბოლოოდ, როცა რეალურ შედეგს დაინახავ და ეს შედეგი შენი გაზრდილი მოსწავლის წარმატებაა, მერწმუნეთ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. თუნდაც ერთი შემთხვევა რად ღირს, როცა შენი ნამოწაფარი შენი კოლეგა ხდება და შენზე გაცილებით უფრო წარმატებულია. მაბედნიერებს, ჩემ ირგვლივ ამდენ წარმატებულ ყოფილ მოსწავლეს რომ ვხედავ, მაგრამ მათგან ერთ-ერთი, **ნანა ლემონჯავა**, აუცილებლად მინდა, დავასახელო.“*

მანანა კაპეტივაძისთვის „მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოში“ მონაწილეობის მთავარი მიზანი ათეულში მოხვედრა იყო – *„გულში სულ ამას ვფიქრობდი, ნეტა ათეულში მოვხვდე, რომ ნათიას იმედები არ გავუცრუო“*, მაგრამ, როცა საკუთარი თავი ხუთეულში აღმოაჩინა თავბრუდამხვევი ბედნიერება შეიგრძნო, ცოტა დაიბნა კიდეც. *„გულწრფელად გეტყვით, პირველობაზე მაინც არ ვფიქრობდი, სხვებს ვგულშემატკივრობდი. როცა ჩემი სახელი გამოაცხადეს, იმდენად გაოცებული ვიყავი, რომ აღარაფერი მესმოდა და ვეღარაფერს ვხედავდი. ლადომ ხელი მომკიდა და სცენაზე გამიყვანა, შორიდან მესმოდა მინისტრის მოლოცვის სიტყვებიც... მან პრიზი გადმომცა. ხელში მეჭირა ეროვნული ჯილდო და თვალებით დარბაზში შვილს ვეძებდი, რომელიც ჩემს საგულშემატკივროდ იყო მოსული. გიორგი ფოტოებს იღებდა, დავინახე კამერა ხელში უკანკალებდა და და მეორე ხელით ცრემლს იწმენდდა... იმ წამსვე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი, თუნდაც ამ სიხარულად ღირდა.*

უკვე ემოციები ცოტა დაცხრა, დავმშვიდდი და დავუბრუნდი რეალობას. ახლა დადგა ჯერი, უღრმესი მადლობა გადავუხადო ამ შესანიშნავი კონკურსის ორგანიზატორებს, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ დიდ საქმეში, რასაც „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ ჰქვია; ნათია ფურცელაძეს, რადგან სწორედ მან მიბიძგა მიმელო კონკურსში მონაწილეობა (და ვიცი, ჩემზე მეტად გაუხარდა ჩემი წარმატება) და ლადო აფხაზავას, რომელიც ყოველთვის მამხნევებდა და დაბნეული, გახარებული და ცრემლიანი სცენაზეც მან გამიყვანა, ბოლომდე ჩემ გვერდით იდგა.

მადლობა ორგანიზატორებს, „ბექ სტეიჯ მებრძოლებს“, როგორც გიორგი უწოდებს, ყველა წვრილმანის სწორად გათვლისთვის და ამ დიდი ღონისძიების უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის. დიდი მადლობა ჩემს ბაღდათს, ჩემს სკოლას ასეთი დახვედრისთვის და მოლოცვისთვის.“

პასუხიმგებლობის გრძნობასთან ერთად, ქალბატონ მანანას უხერხულობის გრძნობაც არ სტოვებს, რადგან გამარჯვებას ნებისმიერი კონკურსანტი ელოდა. თუმცა, მისთვის ათეულის წევრები არა კონკურსანტები, არამედ უკვე მეგობრები არიან. *„არ მინდა ვინმეს გული დაწყდეს, რადგან ჩვენ ათეული ვართ გამარჯვებული და ათივეს გვეკუთვნის ეს ჯილდო, ათივე თანასწორი ვართ ამ საქმეში. თითოეულს მინდა მადლობა გადავუხადო იმ თანადგომისთვის და გამხნევებისთვის, რასაც დღემდე ვგრძნობ“.*

რაც შეეხება შემდგომ საქმიანობას, „ათეულთა კლუბის“ ფარგლებში, ბევრი საინტერესო აქტივობა და ღონისძიება დაიგეგმა. *„ნებისმიერი აღიარება, თავისთავად, ძვირფასია, მით უფრო, როცა საუკეთესო კონკურსანტებს შორის ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლად გასახელებენ და არ მეგულება მასწავლებელი, რომელსაც ამ სტატუსის ტარება არ მოუნდება, მაგრამ ჩემი დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო საუკეთესო ათეულის მიმართ, ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები და მასწავლებლები არიან* – **ნინო გურეშიძე, ნანა დაბრუნდაშვილი, ნაზი ჩოფიკაშვილი, ლელა კოტორაშვილი, ნინო ჭიჭინაძე, ელისო აბრამიშვილი, ჯაბა ლაბაძე, დაჩი ნანობაშვილი, თემო სუყაშვილი.** *ბედნიერებაა ქვეყანაში ასეთი მასწავლებლები გყავდეს! მე ვიცი, რომ კიდევ ბევრი კარგი მასწავლებელია სოფლად თუ ქალაქად და ყველას მოვუწოდებ, მიიღონ მონაწილეობა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში“, რათა ისინიც გაიცნოს საზოგადოებამ. ჩვენ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ერთად!“*

წლის საუკეთესო მასწავლებელი მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize“ – კონკურსზე წარადგენს საქართველოს. რედაქცია კიდევ ერთხელ ულოცავს ქალბატონ მანანას 2018 წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარებას და წარმატებებს უსურვებს მრავალფეროვან და საინტერესო პედაგოგიურ გზაზე.

ინფორმაცია

მიხეილ ბატიაშვილი განათლების სისტემის სრულ ტრანსფორმაციას ახალ გუნდთან ერთად იწყებს

4 ოქტომბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, სპეციალური ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის წესით შერჩეული სსიპ-ების ხელმძღვანელები წარუდგინა.

მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი,** მისი საკურატორო სფერო სამინისტროს ადმინისტრაციული საქმიანობის ყველა მიმართულების კოორდინაცია და კონტროლინგი იქნება. ახალ მოადგილეს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის 20- წლიანი გამოცდილება აქვს. მუშაობდა საქართველოს პარლამენტში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე; აქვს აკადემიური გამოცდილება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში; მონაწილეობდა არაერთ პროფესიული განვითარების პროგრამაში, მათ შორის, ჯორჯ ვაშინგტონის, მაასტრიხტის უნივერსიტეტებში და სხვ.; აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის და დოქტორის წოდება.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის პოზიცია **ზვიად გაბისონიამ** დაიკავა, რომელიც, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, აკადემიურ საქმიანობას 19 წლის განმავლობაში ეწევა. მისი გამოცდილება მოიცავს ასევე უმაღლეს თანამდებობებს კერძო სექტორში – იურიდიული პროფილის კომპანიებში.

ზვიად გაბისონიას, რომელიც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ბრემენისა და ბონის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულია, გავლილი აქვს სამეცნიერო სტაჟირება მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე **ბერიკა შუკაკიძე** დაინიშნა, რომელსაც დოქტორის ხარისხი აქვს განათლების სფეროში, ხოლო იებრასკის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მართვისა და ზედამხედველობის მიმართულებით მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული. ბერიკა შუკაკიძეს განათლების სფეროში მუშაობის 23-წლიანი გამოცდილება აქვს. ასოცირებული პროფესორის რანგში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სალექციო კურსები მიჰყავს განათლების მართვისა და კვლევების პროგრამებზე. განათლების სისტემის მიმართულებით, არაერთი სტატიის ავტორი და კვლევითი პროექტის ხელმძღვანელია.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის პოზიციაზე მინისტრმა **გიორგი ვაშაკიძე** წარადგინა, რომელიც ალფრედ ტოპფერის ფონდის, ჰამბურგის უნივერსიტეტის, მაქს-პლანკის სახელობის უნივერსიტეტის, ედმუნდ სიმერსის ფონდის სტიპენდიანტია; იგი არაერთი მონოგრაფიის, კვლევისა და სტატიის ავტორია; ჰამბურგის უნივერსიტეტში მიღებული აქვს სამართლის მაგისტრის და სამართლის დოქტორის წოდებები; საერთაშორისო, კერძო და საჯარო მენეჯერულ თანამდებობებზე, გიორგი ვაშაკიძეს მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება აქვს. 9 წელია აკადემიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იყო ექსპერტი გაეროს განვითარების პროგრამებში და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საბჭოს წევრი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალ დირექტორს, **სოფიო გორგოძეს** განათლების სისტემაში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება აქვს.

განათლების მართვის მიმართულებით, სხვადასხვა დროს, ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა და საკონსულტაციო მომსახურებას ეწეოდა როგორც საჯარო და არასამთავრობო სექტორში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში განათლების მართვის მიმართულებით. უმაღლეს სასწავლებლებში მის მიერ წაყვანილი სასწავლო კურსები მოიცავს განათლების პოლიტიკას, საგანმანათლებლო შეფასებებს, განათლების კვლევებს და ა.შ. სხვადასხვა დროს იყო: საქართველოს დელეგატი ევროსაბჭოს ზოგადი განათლების კომიტეტში, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციის თანადამფუძნებელი და თანათავმჯდომარე; განათლების მიმართულებით, საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემაში მას არაერთი პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული; სოფიო გორგოძეს აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი განათლების პოლიტიკის მიმართულებით, არის განათლების დოქტორი.

მინისტრის გადაწყვეტილებით, მისი ამჟამინდელი მოადგილე **ალექსანდრე თევზაძე,** 2018 წლის 31 ოქტომბრამდე, გაგრძელებს მუშაობას და შემდგომ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, დატოვებს თანამდებობას.

კითხვაზე, თუ როდის დაინიშნება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ახალი უფროსი, მინისტრმა უპასუხა, რომ მიმდინარეობს კონკურსი.

ბრიფინგის დასასრულ, მინისტრმა განათლების სისტემის ახალ თანამშრომლებს წარმატება უსურვა და ხაზი გაუსვა, რომ განათლების სისტემის რეფორმა და სრული ტრანსფორმაცია მათთან ერთად განხორციელდება. *„ეს არის გუნდი, რომელიც, ვფიქრობ, საკმაოდ კომპეტენტურად გაუძღვება ჩვენ მიერ წარმოდგენილ რეფორმებს. განახლებული გუნდი, ახალი ენერგიით, ახალი შემართებით დაიწყებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

საქართველოს მთავრობას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სამართლიანობის შესახებ

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრმა არაერთხელ დააყენა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოქმედი სქემის შეჩერების საკითხი. სქემის მოქმედი რედაქციის გაუქმებაში ვგულისხმობთ მისი ბიუროკრატიზმის სრულ მოსპობას, გართულებული კრედიტქულების, ე.წ. გარედაკვირვების, მასწავლებელთა გადამზადებაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მონოპოლიის გაუქმებას და ა.შ. ბიუჯეტიდან, ხსენებული ცენტრის დაფინანსების ნაცვლად, შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის, მასწავლებელს უნდა მიეცეს ფინანსური ვაუჩერი, რომლითაც თავადვე გადაწყვეტს კარიერული წინსვლის რომელ მიმართულებაზე გამოიყენებს მას (ტრენინგები, შიდასასკოლო აქტივობები, კვლევები თუ სხვა). ამავდროულად, დამწყები სპეციალისტებისთვის მასწავლებლობის უფლების მოპოვება უნდა გამარტივდეს და მასწავლებელს უნდა მიენიჭოს სრული ნებაყოფლობითი თავისუფლება შემდგომი წინსვლისთვის. უნდა დამტკიცდეს პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ზეწოლით რამდენიმე თვის წინ ინიცირებული საპროექტო წინადადება, რომელიც გულისხმობს უფროსის და წამყვანის სტატუსმოპოვებული მასწავლებლისთვის ე.წ. სტატუსის ჩამორთმევის გაუქმებას და საერთოდ, ყოველ შემდგომ სტატუსზე გადასვლაც უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ყოველგვარი კონკრეტული ვადები უნდა გაუქმდეს. გადასახედი ან საერთოდ გასაუქმებელია ე.წ. კრედიტქულების დაგროვების არსებული მოდელი. მისი შენარჩუნების შემთხვევაში, ის უნდა იყოს ბევრად გამარტივებული და მასწავლებლის შრომის იმ შედეგებს უნდა ეყრდნობოდეს, რაც აისახება მოსწავლეზე და არა ე.წ. სავალდებულო აქტივობების გარეგნულ შეფუთვაზე. მაგრამ, სანამ ძალაშია არსებული მოდელი, კრედიტქულების სახელფასო ანაზღაურებასთან ბმის უფრო რეალურობისა და სამართლიანობისთვის საჭიროა განისაზღვროს თითოეული კრედიტქულის ფინანსური ექვივალენტობა. მოცემულ ეტაპზე, მასწავლებლის სტატუსების დანამატს თუ ერთ კრედიტქულაზე დავიყვანთ, ერთ კვირეულ საგაკვეთილო საათზე, უფროსი მასწავლებლისთვის ის შეადგენს 0, 28, ანუ თვეში 16,81 ლარს, წამყვანისთვის – 0,43 ლარს, თვეში 26,31 ლარს, მენტორისთვის – 0,46, თვეში 28 ლარს (დარიცხვით), ოღონდ მასწავლებელს სახელფასო დანამატი მხოლოდ სრული და მეტი დატვირთვის (განაკვეთის) შემთხვევაში ერიცხება. ნაკლებ საათობრივ დატვირთვაზე კი სტატუსის დანამატი არ გაიცემა. ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომის გამორიცხვისთვის ჩვენ ვითხოვთ საერთოდ გაუქმდეს სტატუსის დანამატი (როგორც დანამატის „ფორმა“) და ის პირდაპირ აისახოს მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოში კოეფიციენტის სახით. ანუ, სქემით გათვალისწინებულ სტატუსსა და კრედიტქულას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კოეფიციენტი და, ნებისმიერი საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, ის პროპორციულად უნდა გადანაწილდეს. ამავდროულად, ჩვენ ვითხოვთ, რომ ამა თუ იმ სტატუსის მქონე მასწავლებლის თითოეული კრედიტქულა უნდა იყოს ანაზღაურებადი. მაგალითად, პრაქტიკოსი მასწავლებელი ნებისმიერ დაგროვებულ კრედიტქულაზე, ნებისმიერი საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, უნდა იღებდეს ამ კრედიტქულის ექვივალენტურ ფინანსურ ანაზღაურებას.

თუმცა უნდა არსებობდეს ზოგადი საათობრივი დატვირთვის მინიმალური ზღვარი. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციულ ჩაგვრაში მოყვნენ ე.წ. უფროსი მასწავლებლებიც. უკანასკნელი სახელფასო ზრდა მათ დანამატს არ შეხებია. მათი და სხვა პედაგოგების ინტერესების გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე, მცირედით მაინც უნდა გაიზარდოს ყოველი სტატუსის მქონე მასწავლებლის ხელფასი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მასწავლებლის ანაზღაურების ოდენობა მინიმალურადაც ვერ უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა, ვითვალისწინებთ რა არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას, დასაწყისისთვის ვითხოვთ ძალიან მიზერულ სახელფასო მატებას, კერძოდ:

პრაქტიკოსიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღწევამდე, ყოველ კრედიტქულაზე, მასწავლებლის სახელფასო ანაზღაურება, თითოეულ საგაკვეთილო საათზე, უნდა გაიზარდოს თვეში 1,46 ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულ განაკვეთზე, თუნდაც 1 კრედიტქულის მქონე პრაქტიკოს მასწავლებელსაც კი, არსებული ყოველთვიური ხელფასი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, კიდევ 22 ლარით, ორ კრედიტქულაზე – 44 ლარით და ა.შ. გაეზრდება (დატვირთვის შემცირების შემთხვევაში კი, პროპორციულად შეუმცირდება), რითაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონეზე ეს ანაზღაურება, სრული დატვირთვის შემთხვევაში, მიაღწევს მისი საბაზო ხელფასის ზრდას კიდევ 418 ლარით (ნაცვლად მოქმედი 320 ლარისა). უფროსიდან წამყვან მასწავლებლობამდე მასწავლებლისთვის თითოეული კრედიტქულა უნდა გაიზარდოს თითოეულ საგაკვეთილო საათზე თვეში 1,80 ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულ განაკვეთზე 1 კრედიტქულის მქონე უფროს მასწავლებელს არსებული ხელფასი კიდევ 27 ლარით, ორ კრედიტქულაზე – 54 ლარით და ა.შ. გაეზრდება. ამით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეზე ეს ანაზღაურება, სრული დატვირთვის შემთხვევაში, მიაღწევს მისი საბაზო ხელფასის ზრდას 513 ლარით (ნაცვლად მოქმედი 500 ლარისა), წამყვანიდან მენტორის სტატუსამდე მასწავლებლის სახელფასო ანაზღაურება კი უნდა გაიზარდოს თითოეულ საგაკვეთილო საათზე თვეში 1,86 ლარით.

ცხადია, ჩვენი შემოთავაზებული წინადადება გულისხმობს ცვლილებებს მთავრობის შესაბამის (68-ე) დადგენილებაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში (№126/ნ) და მოსწავლის ფინანსური ვაუჩერის ოდენობის ზრდას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის შესახებ მთავრობის დადგენილებაც შეიცავს კანონსაწინააღმდეგო და დისკრიმინაციულ ელემენტს, რითაც კერძო სკოლის მოსწავლეები შემცირებული ვაუჩერით ფინანსდებიან. ამიტომ, უნდა გაუქმდეს მთავრობის დადგენილების შესაბამისი მუხლი, რომელიც კერძო სკოლების მოსწავლის ვაუჩერის ოდენობას განსაზღვრავს და ეს ოდენობა უნდა გაუთანაბრდეს საჯარო სკოლის მოსწავლის ვაუჩერის ოდენობას.

საორიენტაციო მიზნით, აქვე გთავაზობთ ნიმუშს, სადაც მითითებულია პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის თითოეული კრედიტქულისა და საათობრივი დატვირთვის შესაბამისი დარიცხული ანაზღაურების მატება.

დავით ფერაძე

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი

სთ. რაოდ	კ რ ე დ ი ტ ქ უ ლ ე ბ ი									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
5	7.33	14.67	22.00	29.33	36.67	44.00	51.33	58.67	66.00	73.33
6	8.80	17.60	26.40	35.20	44.00	52.80	61.60	70.40	79.20	88.00
7	10.27	20.53	30.80	41.07	51.33	61.60	71.87	82.13	92.40	102.67
8	11.73	23.47	35.20	46.93	58.67	70.40	82.13	93.87	105.60	117.33
9	13.20	26.40	39.60	52.80	66.00	79.20	92.40	105.60	118.80	132.00
10	14.67	29.33	44.00	58.67	73.33	88.00	102.67	117.33	132.00	146.67
11	16.13	32.27	48.40	64.53	80.67	96.80	112.93	129.07	145.20	161.33
12	17.60	35.20	52.80	70.40	88.00	105.60	123.20	140.80	158.40	176.00
13	19.07	38.13	57.20	76.27	95.33	114.40	133.47	152.53	171.60	190.67
14	20.53	41.07	61.60	82.13	102.67	123.20	143.73	164.27	184.80	205.33
15	22.00	44.00	66.00	88.00	110.00	132.00	154.00	176.00	198.00	220.00

სთ. რაოდ	კ რ ე დ ი ტ ქ უ ლ ე ბ ი								
	11	12	13	14	15	16	17	18	19
5	80.67	88.00	95.33	102.67	110.00	117.33	124.67	132.00	139.33
6	96.80	105.60	114.40	123.20	132.00	140.80	149.60	158.40	167.20
7	112.93	123.20	133.47	143.73	154.00	164.27	174.53	184.80	195.07
8	129.07	140.80	152.53	164.27	176.00	187.73	199.47	211.20	222.93
9	145.20	158.40	171.60	184.80	198.00	211.20	224.40	237.60	250.80
10	161.33	176.00	190.67	205.33	220.00	234.67	249.33	264.00	278.67
11	177.47	193.60	209.73	225.87	242.00	258.13	274.27	290.40	306.53
12	193.60	211.20	228.80	246.40	264.00	281.60	299.20	316.80	334.40
13	209.73	228.80	247.87	266.93	286.00	305.07	324.13	343.20	362.27
14	225.87	246.40	266.93	287.47	308.00	328.53	349.07	369.60	390.13
15	242.00	264.00	286.00	308.00	330.00	352.00	374.00	396.00	418.00

რეფორმა

სკოლა უნდა განვითარდეს, როგორც ერთიანი ინსტიტუცია

როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წელი საქართველოს ყველა ქართულენოვან სკოლაში დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) განახლებული სასწავლო გეგმებით დაიწყო, არაქართულენოვან სკოლებში კი ეს სიახლე მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება.

რა სახის მხარდაჭერა შესთავაზა სამინისტრომ მასწავლებლებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების დასანერგად იმ საპილოტე პროექტის გარდა, რომელიც 150-ე საჯარო სკოლაში დაიწყო და რა მოლოდინი აქვთ პილოტის დასრულების შემდეგ, ამ საკითხებზე საუბრობს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ***მარიამ ჩიქოვანი.***

– უფრო დეტალურად რომ აგვიხსნათ, რა მიმართულებებს მოიცავს 150-ე სკოლაში მიმდინარე საპილოტე პროექტი და რა მოლოდინი გაქვთ?

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მინისტრმა განათლების რეფორმის ხუთივე მიმართულებით – სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი და მეცნიერება – სიახლეები დააანონსა. ზოგადი განათლების ნაწილში რეფორმა რამდენიმე მიმართულებით მუშაობას გულისხმობს. ვიდრე სკოლებში მასობრივად გავალთ, თბილისის 150-ე სკოლაში დავიწყეთ სიახლეების პილოტირება. პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი, რადგან მიგვაჩნია, რომ სკოლა უნდა განვითარდეს როგორც ერთიანი ინსტიტუცია (და არა გამორჩეული ან უფრო წინ წასული მასწავლებლებით), სადაც ყველა თანაბარ პირობებში იმუშავებს, ერთად დაგეგმავს, იმსჯელებს და იფიქრებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

საპილოტედ შერჩეულ სკოლაში, დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელს უკვე ჩაუტარდა ტრენინგი მეთოდოლოგიაში – როგორ სწავლობს მოსწავლე, რას ნიშნავს კარგი, საინტერესო გაკვეთილი და,ზოგადად, პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლეებს არ რცხვენიათ კითხვების დასმის, შეცდომების დაშვების. მათ უნდა იცოდნენ, რომ სკოლა სწორედ ამისთვის არსებობს, რაც მთავარია, მხარდაჭერას უნდა გრძნობდნენ მასწავლებლებისგან. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გაიაზრონ, როგორი უნდა იყოს კარგი გაკვეთილი, და როგორ დაგეგმონ მათ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად, სასწავლო პროცესი. ე.წ. ყოველდღიური ქოუჩინგი, რასაც ახლა ვაკეთებთ საგნობრივი სასწავლო გეგმების დანერგვის კუთხით, სწორედ ამას გულისხმობს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკლასო შეფასებასაც. რა შედეგებზე გაგვიყვანს საპილოტე პროექტი? ამის შესაფასებლად სასკოლო კულტურის კვლევა და მოსწავლეთა პრეშეფასება ჩავატარეთ, რათა გვცოდნოდა, ახლა რა მდგომარეობა გვაქვს. პილოტის დასრულების შემდეგ კი, პოსტშეფასება იგეგმება. ტესტი, რომელსაც მათ შევთავაზებთ, ორიენტირებული იქნება სააზროვნო უნარების შემოწმებაზე. სწორედ ასეთი ტიპის დავალებები უნდა შეიტანონ სასწავლო პროცესში და არა მრავალპასუხიანი ტესტები, რომელიც ძირითადად ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზეა ორიენტირებული. პილოტის რეჟიმში, ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება ტექნოლოგიები, რადგან ჩვენი სურვილია, ის ვაქციოთ როგორც სასწავლო პროცესის, ისე კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის/პროფესიული განვითარების განუყოფელ ნაწილად. ამ მიმართულებით, პედაგოგებს რამდენიმე პროგრამას შევასწავლით და შემდეგ ისინი, თავიანთი მიზნების შესაბამისად, შეარჩევენ, რომელი რა დროს გამოიყენონ.

ტექნოლოგიები არ უნდა იყოს მხოლოდ საჩვენებლად ჩართული. დღეს ციფრული სამყარო ბავშვებისთვის ძალიან ბუნებრივ გარემოს წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს გარემო სასწავლო მიზნებისთვის იქნეს გამოყენებული (მაგალითად, იმავე ალგორითმული აზროვნების განვითარების ხელშემწყობი თამაშები), ეს ყველაფერი 150-ე სკოლაში გამოიცდება.

პედაგოგები ძალიან აქტიურად და ინტერესით ჩაერთნენ პროცესში და მათთან ყოველდღიური შეხვედრები გვაქვს. ყველაფერს ერთად ვგეგმავთ, ასევე ყურადღებით აკვირდებიან, მეორე საგნის მასწავლებელი რას გეგმავს – რას აკეთებს, რომ ეს ყველაფერი მათ გეგმასთან იყოს გაზიარებული. ვფიქრობთ, სკოლიდან რომ გამოვალთ, უკვე გვექნება გამოცდილი ინსტრუმენტები შეფასების, მეთოდოლოგიისა და დაგეგმვის კუთხით. რაც მთავარია, პილოტში მონაწილე მასწავლებლებს მომავალი სემესტრის გეგმა უკვე გაწერილი ექნებათ. გაზაფხულზე, ვფიქრობთ, მსგავსი პროექტით კიდევ 50 სკოლაში შევიდეთ. თითოეულ სკოლას ეყოლება ისეთივე მხარდამჭერი ჯგუფი – ექსპერტები, მეთოდისტები, ისტ-ის ექსპერტი, მკვლევარი – როგორც ახლა თბილისის 150-ე სკოლას ჰყავს. ეს იქნება მობილური მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც მასზე მიმაგრებულ სკოლებს, ინტერნსიურ რეჟიმში გაუწევს სათანადო დახმარებას. ვფიქრობთ, მხარდამჭერი ჯგუფის წევრები ადგილობრივი კადრებით დავაკომპლექტოთ. ეს შეიძლება რესურსცენტრის ბაზაზე მოხდეს, აღნიშნული რგოლი უნდა გაძლიერდეს და ადგილზე მოხდეს ადამიანური რესურსის შესაბამისად განვითარება. რა თქმა უნდა, მათ შესაბამისად გადავამზადებთ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვებიან პროცესში. მნიშვნელოვანია, გავაჩინოთ ნდობა სკოლასა და სამინისტროს შორის, სკოლები და მასწავლებლები სამინისტროს მხოლოდ „დამსჯელ“ ან „შემმოწმებელ“ ორგანოდ კი არა, პირველ რიგში, მხარდამჭერად უნდა აღიქვამდნენ. ამის მიღწევა არც ისე იოლი იქნება, მაგრამ ვეცდებით, ეს 150-ე სკოლის და შემდეგ პილოტირებაში ჩართული დანარჩენი სკოლების მაგალითზე დავანახოთ. მათ აუცილებლად უნდა იგრძნონ, რომ თუ რაიმე შეეშლებათ, ამის გამო კი არავინ დასჯის, არამედ ერთად ვიფიქრებთ და ვიზრუნებთ შეცდომის გამოსწორებაზე. ასეთი მიდგომის გარეშე ვერც სკოლა განვითარდება და ვერც სისტემა – რაც მთავარია, ვერ განვითარდება სკოლა, როგორც ერთიანი ინსტიტუცია. ცალკეულმა წარმატებულმა მასწავლებელმაც იმაზე უნდა იზრუნოს, რომ დაეხმაროს კოლეგებს და ყველამ ერთად თანამშრომლობით აამაღლონ საკუთარ სკოლაში სწავლების ხარისხის დონე.

პროექტის დასრულების შემდეგ, ტრენინგ-მოდულების გარდა, ყველა საგანში გვექნება სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშები, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, თემების მიხედვით გაწერილი, რომელიც, ამავე დროს, დაეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს.

– გეგმავთ თუ არა პროცესის მონიტორინგს?

– პილოტირების შედეგებს აუცილებლად შევაჯამებთ, სწორედ ამიტომ ვახსენე, რომ მოსწავლეები წინასწარ უკვე შევაფასეთ და გავაკეთებთ შუალედურ შეფასებას სემესტრის ბოლოსაც – პილოტის დასრულების შემდეგ. რასაკვირველია, იმის მოლოდინი არ გვაქვს, რომ ძალიან დიდი ნახტომი გვექნება, მაგრამ, მთავარია, დავინახოთ პროგრესი და დამოკიდებულების შეცვლა, დღეს არსებული სასკოლო გარემოსა და ატმოსფეროს შეცვლის ნიშნები – თვალსაჩინო უნდა გახდეს, რომ პროცესში წამყვანი მოსწავლეა და არა მასწავლებელი, რადგან, სამწუხაროდ, მასწავლებელი, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ცდილობს მენტორის როლში ყოფნას.

– რა კრიტერიუმით შეირჩა პირველი საპილოტე სკოლა და რა ნიშნით შეარჩევთ დანარჩენ 50 სკოლას პილოტირების შემდეგი ეტაპისთვის?

– თბილისის 150-ე სკოლაზე არჩევანი რამდენიმე ფაქტორის გამო შევაჩერეთ. პირველ რიგში, ჩვენ თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება გვქონდა სკოლასთან, ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში და მასწავლებლები ძალიან ღია აღმოჩნდნენ ცვლილებებისთვის. რეალურად, მათ უნდა შეცვალონ სკოლაში ბევრი რამ და ამისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. მეორე მიზეზი, რის გამოც სკოლა შევარჩიეთ, ისიცაა, რომ არ გვინდოდა საპილოტედ ძალიან მაღალკონტინგენტიანი სკოლა აგვერჩია, უფრო მისაღები საშუალო ზომის სკოლაა და რაც მთავარია, არა ე.წ. „პრესტიჟული“. ჩვენი სურვილიც ეს იყო, ქალაქის ერთი ჩვეულებრივი სკოლის მაგალითზე, სკოლებს ვაჩვენოთ, როგორ შეუძლიათ მიაღწიონ დიდ წარმატებებს. რაც მთავარია, გუნდი დაგვხვდა ძალიან კარგად განწყობილი და მოტივირებული, რომ გაგვიწიონ დახმარება ამ ინსტრუმენტების დახვეწაში. რეალურად, ერთად ვაყალიბებთ „მოდელს“, რადგან ასე გამზადებული ფორმულები, ცხადია, არც ჩვენ გვაქვს. ყველა სკოლაში ასე უნდა მოხდეს – ერთად უნდა დავინახოთ, როგორ შეიძლება კონკრეტული სკოლის შესაძლებლობებისა და რესურსის მაქსიმალურად გამოყენება სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სხვაგვარად არ გამოვა, რადგან შეიძლება იდეალური მოდელი შევქმნათ, მაგრამ კონკრეტულ სკოლაში საერთოდ ვერ იმუშაოს. ამიტომაც მათთან ერთად ვსწავლობთ, როგორ შეიძლება სკოლის ბაზაზე სწავლა-სწავლების პროცესში მაქსიმალური შედეგის მიღწევა. იდეებიც მათგან უნდა წამოვიდეს.

პილოტირების მეორე ეტაპზე, რასაკვირველია, დედაქალაქის სხვა სკოლებიც ჩაერთვებიან, მაგრამ უფრო დიდი აქცენტი რეგიონებზე გაკეთდება. რაც შეეხება მათი შერჩევის კრიტერიუმებს, სკოლები მინიმალურ პირობებს მაინც უნდა აკმაყოფილებდნენ, თუნდაც, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე, ინტერნეტით აღჭურვილი 12-15 კომპიუტერი მაინც უნდა იყოს.

– მცირეკონტინგენტიან სკოლებს ექნებათ პილოტირებაში ჩართვის შესაძლებლობა?

– პირველ ეტაპზე, მცირეკონტინგენტიანი სკოლები ვერ შეირჩევა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა სკოლა დაიფარება, რადგან რეალურად, ეს არის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის პროექტი, რომლის მიზანია, უშუალოდ საკლასო ოთახში დავინახოთ შესაბამის უნარებსა და კომპეტენციებზე მუშაობა. უბრალოდ, გარკვეული დრო დასჭირდება, რომ ყველა სკოლა მოვიცვათ. გაზაფხულზე 50 სკოლა დაემატება, შემდეგ ეტაპზე კი, 2019 წლის შემოდგომაზე – 100-150.

– საპილოტე პროექტის გარდა, კიდევ რა სახის მხარდაჭერა შესთავაზეთ მასწავლებლებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების დასანერგად?

– წელს, რადგან ყველაზე დიდი სიახლე „მე და საზოგადოების“ შემოღება იყო (ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო „ჩვენი საქართველოს“ საგანსაც – მთლიანად გადახალისდა და გაძლიერდა სამოქალაქო განათლების კომპონენტი), ამიტომ ჩვენ სწორედ ამ საგნის მასწავლებლების გადამზადებას დავუთმეთ განსაკუთრებული ყურადღება. ზაფხულში დასრულდა გადამზადების ერთი ნაკადი და რადგან მასწავლებლების მხრიდანაც ძალიან დიდი მოთხოვნა გაჩნდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წლის ბოლომდე, ისევ აგრძელებს ტრენინგებს.

თავისთავად, სიახლეა სახელმძღვანელოებიც. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ სტანდარტის მისაღწევად, სახელმძღვანელო არის ერთ-ერთი გზა, მაგრამ მასწავლებელმა, სხვა გზებიც შეიძლება დასახოს და სახელმძღვანელო ან სხვა რესურსები დაიხმაროს. თითოეულ მასწავლებელს საკუთარი გეგმა უნდა ჰქონდეს და ამ გეგმაში სახელმძღვანელოს შემოიტანს დიდი წილით თუ სხვა რესურსს, ეს თავად უნდა განსაზღვროს.

– წელს სიახლეა ისიც, რომ სკოლებს უცხო ენის არჩევის მეტი შესაძლებლობა მიეცათ

– ამით ევროპული ენების სწავლების გაძლიერება გვინდოდა, რადგან სტატისტიკის მიხედვით, გერმანული და ფრანგული ენები ნელ-ნელა მილევად რეჟიმში გადადიან, იტალიური ისედაც ერთ-ორ სკოლაში ისწავლებოდა. გადავწყვიტეთ, რაღაც ზომები მიგვეღო და სკოლებს ვთხოვეთ, მინიმუმ, ორი უცხოური ენა შეეთავაზებინათ მეხუთე კლასში მოსწავლეებისთვის ასარჩევად. სხვათა შორის, ამ შეთავაზებისას აღმოვაჩინეთ, თურმე, მშობლების უმრავლესობამ საერთოდ არ იცის, რომ მათ არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ. ფიქრობენ, რადგან სკოლაში რუსულის მასწავლებელი ჰყავთ და რუსული ისწავლება, მათმა შვილებმაც აუცილებლად ეს ენა უნდა ისწავლონ. ძალიან კარგია, რომ მშობლებმა, თუნდაც, ამ არჩევანის შესახებ გაიგეს. სხვათა შორის, არაერთი წერილი შემოვიდა ჩვენთან ამის თაობაზე. მაგალითად, ნინოწმინდის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლიდან იყო მოთხოვნა – სკოლაში რუსული ენა ისწავლება, მაგრამ სურთ, მათმა შვილებმა გერმანული ენა ისწავლონ. უცხო ენაში შეიძლება კლასის გაყოფა და მოსწავლეთა სურვილისამებრ დაჯგუფება. თუ სკოლაში ორი ან მეტი პარალელური კლასია, ოთხი ჯგუფი პარალელური კლასებიდან შეიძლება ენის მიხედვით დაჯგუფდეს – გერმანულზე, ფრანგულზე და ა.შ.

ჩვენთან ძალიან აქტიურად თანამშრომლობს იტალიის საელჩო. იტალიური ენის სასწავლო პროგრამა უკვე მოვამზადეთ და მალე დავამტკიცებთ. წელს 15-მდე სკოლამ აირჩია იტალიური, როგორც მეორე ენა. საელჩო პედაგოგების გადამზადებაშიც გვეხმარება და სახელმძღვანლოებით მომარაგებაშიც. დიდი იმედი მაქვს, ცოტა ხანში იტალიური ენა სხვა სკოლებშიც არანაკლებ პოპულარული გახდება. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენმა შვილებმა ევროპის ქვეყნებში სწავლის გაგრძელება შეძლონ, ამისთვის კი აუცილებელია უცხოური ენების აკადემიურ დონეზე ფლობა.

დღეს, სკოლებში, არჩევითი უცხოური ენების ჩამონათვალშია: გერმანული, ფრანგული, რუსული, იტალიური, ჩინური ენები. პრინციპში, სკოლას შეუძლია ნებისმიერი ენა აირჩიოს, მაგრამ, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასწავლო პროგრამა. პროგრამები კი მხოლოდ ჩამოთვლილ ენებშია შექმნილი. რაც შეეხება ჩინურს, საკმაოდ მოთხოვნადი გახდა და უკვე სრულდება მუშაობა სასწავლო პროგრამაზე, რომელიც ასევე დამტკიცდება.

– ფიზიკურ აღზრდას ერთი საათი დაემატა, რამ განაპირობა ეს ცვლილება?

– დაწყებით კლასებში წელს ფიზიკურ აღზრდაში დავამატეთ ერთი საათი, გვესმის, რომ სკოლებში ინფრასტრუქტურის პრობლემებია, მაგრამ დაწყებით საფეხურზე ძალიან ბევრი სახალისო აქტივობის მოფიქრება შეიძლება, რომ ბავშვები ფიზიკური აქტივობით დაკავდნენ. ამიტომ, ვფიქრობთ, თუ სკოლას განსაკუთრებული მიზეზი არ აქვს, ამ საგნისთვის განკუთვნილი სამი საათის ჩატარება უნდა შეძლოს. მოგეხსენათ, რომ არსებობს 25-პროცენტიანი გადანაწილების პრაქტიკა – რომელიმე საგანს, სხვა საგნის სასარგებლოდ, აკლდება საათი. ახლა ფიზიკურ აღზრდას, ხელოვნებასა და მუსიკას ამ საათებს ვეღარ მოაკლებენ, რადგან დაწყებით საფეხურზე სავალდებულოა, რომ ჩამოთვლილ დისციპლინებში, გაკვეთილები სრულყოფილად ჩატარდეს. ფიზიკურ აღზრდაში, I-IV კლასებში, კვირაში ორის ნაცვლად, სამი გაკვეთილი ჩატარდება.

– რა სიახლეებია სკოლამდელი განათლების მიმართულებით?

– სკოლამდელთან დაკავშირებით ასეთი გეგმები გვაქვს. სკოლამდელი განათლება ჩვენთან სავალდებულო არ არის და, ალბათ, უახლოეს პერიოდში, ვერც გახდება, რადგან ეს საკმაოდ დიდ ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსთანაა დაკავშირებული და დროში გაწელილი პროცესია. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო მზაობის პროგრამების შეთავაზება, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ აუცილებელია პროგრამა ბაღის ბაზაზე განხორციელდეს. ამდენი ბაღი არც გვაქვს. ამიტომ, სასკოლო მზაობის პროგრამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სკოლა და სწორედ მის ბაზაზე მოხდეს არა მთელი დღის განმავლობაში, არამედ ნახევარდღიანი, ანუ სამსაათიანი პროგრამების შეთავაზება ბავშვებისთვის. მოგეხსენებათ, ყველა ოჯახს არ აქვს საშუალება, ბავშვი სათანადოდ მომზადებული მიიყვანოს სკოლაში, ეს შემდგომ განაპირობებს დაწყებით საფეხურზე ჩამორჩენას, რომელიც ზედა საფეხურებზე უფრო და უფრო ღრმავდება. ვფიქრობ, სახელმწიფომ, რამდენიმე წელიწადში მაინც, უნდა მოახერხოს, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, რაც თანაბარ სასტარტო პირობებში ჩააყენებს ყველა პირველკლასელს.

– რა ფაზაშია საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმები?

– ეროვნული სასწავლო გეგმების შემდეგი საბაზო ეტაპი – VII-VIII-IX კლასები – უკვე დამტკიცებულია და, ალბათ, ძალიან მალე გამოცხადდება კონკურსი სახელმძღვანელოების გრიფირებაზე. ამას თავად მინისტრი დააანონსებს და, პარალელურად, გამოცხადდება შემფასებლების კონკურსიც.

– საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებიც პილოტირების გარეშე შევა სკოლებში, როგორც ეს დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში მოხდა?

– ამ საკითხზე სწორედ ახლა ვფიქრობთ. შეიძლება სამი კლასის სახელმძღვანელოების კონკურსი ერთდროულად არ გამოცხადდეს და იყოს მხოლოდ მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოებზე. დანერგვის პირველი წელი მაინც პილოტირების წლად ითვლება და ამიტომ, რომელი კლასის სახელმძღვანელოზეც გამოვაცხადებთ კონკურსს, შემდეგ წელს, შესაბამისად, იმ კლასის სახელმძღვანელოების პილოტირება მოხდება. ისედაც დრო ძალიან მცირეა და სამი კლასის ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნა, ამ დროში, ძალიან რთული იქნება, ამიტომაც ვფიქრობთ ასეთ მოდელზე. ცხადია, გამომცემლებსაც შევხვდით და იმედია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველანი შევჯერდებით.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

რეფორმა

როცა სკოლა სიახლეებისთვის მზადაა

ახალი სკოლის მოდელი განახლებული მეთოდოლოგიით სწავლებას მოიაზრებს. სწავლების ახალი მეთოდი თბილისის 150-ე საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში, პილოტირების რეჟიმში, გამოიცდება. შემდგომ, მეორე ეტაპზე ამ პროცესში უფრო მეტი სკოლა ჩაერთვება. „იმედი მაქვს, ყოველი ახალი პილოტი მოგვცემს ახალ მასალას, რომელსაც მასწავლებლები, საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით, შექმნიან და შემდეგ დანარჩენი მასწავლებლები გამოიყენებენ რესურსად. ჩვენ მზამზარეულ პაკეტებს მივაწოდებთ იმ სკოლებს, სადაც, საპილოტე რეჟიმში, 2019 წლიდან შევალთ. ვეცდებით, პილოტირების დროს, ისე გავაძლიეროთ სკოლები, რომ შემდეგ ჩვენ გარეშე შეძლონ პროცესის გაგრძელება.“ – განაცხადა ირინა აბულაძემ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ სკოლის მართვისა და ლიდერობის საერთაშორისო კონფერენციაზე.

150-ე სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს, სწავლების ახალი მოდელის მეთოდოლოგიაში, 2-დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ. გრძელდება შეხვედრები და კონსულტაციები ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის თანამშრომლებთან. ოქტომბერი მოსამზადებელი ეტაპია, საცდელი სწავლება ახალი მეთოდოლოგიით ნოემბერში დაიწყება.

ამ სკოლას ეროვნული გეგმების დეპარტამენტთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს – გასულ სასწავლო წელს, დაწყებით საფეხურზე, ახალი საგნის – „მე და საზოგადოება“ პილოტირება ჩატარდა. როგორც ჩანს, წარმატებულმა შედეგმა, დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა პროფესიონალიზმმა და სიახლეების დანერგვის გამოცდილებამ განაპირობა ახალი მეთოდოლოგიის ამავე სკოლაში, ასევე დაწყებით საფეხურზე, გამოცდა. რა მოლოდინი აქვთ თვითონ მასწავლებლებს, რა მოსწონთ ახალ მოდელში, როგორ აფასებენ „მე და საზოგადოების“ პილოტირების შედეგებს – გთავაზობთ 150-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების – ნათია მეფარიძის, მანანა ჯადუგიშვილის, ხათუნა გაგრატიონის და დირექტორის მოადგილის, თამილა ჩუგინიძის მოსაზრებებს.

მანანა ჯადუგიშვილი: „ახალი მეთოდი ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ნებისმიერი სიახლე ძალიან მომწონს, ბავშვებიც ასე არიან, მათაც გარკვეული ხელწერა ჩამოუყალიბდათ, ალბათ ჩემგან გადაედოთ. გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ერთი და იმავე აქტივობის პერმანენტული გამეორება მთავარ მიზანს გაკარგვინებს, ბავშვებს აღარ მოსწონთ, სიახლე უნდათ. სწორედ ეს არის ჩემთვის ყველაზე ნიშვნელოვანი ამ პროექტში – ახლებურად მივაწოდო ის, რასაც აქამდეც ვასწავლიდი. მგონია, რომ ახლა მასალას ძალიან საინტერესოდ ვაწვდით, იმ ძირითადი ცოდნის კატეგორიისთვის, რაზეც გვინდა რომ გავიდეთ – ბავშვმა შეძლოს ნასწავლის გამოყენება, ცოდნის ტრანსფერი, ეს მეთოდი, ვფიქრობ, იდეალურია. როდესაც თემატურად, ერთი თემის ქვეშ, ფარავ სხვადასხვა საგაკვეთილო მიზანს, საგნობრივ მიზანს, ამ თემატიკის ყველა ჭრილში განხილვა და უკეთ გააზრება ხდება.

მეორე კომპონენტი, რაც ასევე მნიშვნელოვანია და ძალიან მომწონს იმიტომ, რომ ბავშვებს მოსწონთ, ელექტრონული სწავლებაა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით რაღაცების კეთება. ამ ასაკში, I-IV კლასებში, ის, რაც თამაშის ელემენტს შეიცავს, ძალიან ადვილად შეიძლება „შემოესწავლოს“ ბავშვს. აქცენტი კეთდება არა იმაზე, რომ სწავლობს, არამედ იმაზე, რომ აკეთებს მისთვის საინტერესო და საყვარელ საქმეს, თანდართულად სწავლობს ისე, რომ ეს პროცესი საინტერესოცაა და არ არის მოსაწყენი. თუმცა, მნიშვნელოვანი წილი ჩემს სწავლებაში, ელექტრონულ თუ სხვა მეთოდებთან ერთად, კითხვის სწავლების და კითხვის უნარის განვითარებას უკავია. იყო განაფული მკითხველი ნიშნავს კარგ საძირკველს წაკითხულის შემდგომი გააზრებისთვის და ანალიზისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, ლიტერატურული თხზულება იქნება ეს, საინფორმაციო ტექსტი თუ ანალიტიკური წერილი. კითხვის სწავლება ამოსავალია ყველა მეცნიერებისთვის, ამიტომაც არის კითხვა საბაზისო უნარი. ტექნოლოგიების სწავლება არ გამორიცხავს იმას, რომ წიგნიერებასაც უნდა მივსდიოთ, ხოლო წიგნიერება გადატანილი ტექნოლოგიებში, რაც ყოველდღიური სწავლების სახეცვლილებას გამოიწვევს, ძალიან საინტერესო იქნება.

მიყვარს, როდესაც რაღაცას ვცდი, ამის გარკვეული გამოცდილებაც დაგვიგროვდა ჩვენს სკოლაში – „მე და საზოგადოების“ პილოტირება ჩატარდა შარშან მესამე კლასში (ჩვენ წყვილში ვიმუშავეთ, მე და ქალბატონმა ხათუნა ბაგრატიონმა), ყველანაირი რესურსის გარეშე, ვიყავით აბსოლუტურად შემოქმედებითები, თავისუფლები. ჩვენი მთავარი დასაყრდენი იყო საგნის სტანდარტი. ჩვენვე ვქმნიდით ელექტრონულ თუ ყველა სხვა რესურსს, რაც შეიძლებოდა საგაკვეთილო პროცესისთვის ყოფილიყო საჭირო. ყველა გაკვეთილი იყო ღია, ნებისმიერ მსურველს შეეძლო შემოსულიყო და ყოფილიყო ჩვენი მსმენელი. აქედან გამომდინარე, აუდიტორია (სივრცეს ვგულისხმობ) ყოველთვის ერთი და იგივე იყო და ელექტრონული რესურსის გამოყენების საშუალებას გვაძლევდა. სხვა დანარჩენ რესურსებთან ერთად, ყველა გაკვეთილისთვის იქმნებოდა ელექტრონული რესურსი. წელს იმავე კლასებში ვასწავლი, ამ საგნის სწავლება უკვე დაინერგა. სამ პარალელურ კლასში გავდივართ ერთი და იმავე თემატიკას, მაგრამ ყველა გაკვეთილზე არ გვაქვს კომპიუტერული წვდომა. მერწმუნეთ, გაკვეთილებს ვერც კი შეადარებთ ერთმანეთს. ელექტრონული რესურსი ძალიან ახალისებს, საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის გაკვეთილს.

„მე და საზოგადოება“ ძალიან საინტერესო საგანია ჩემთვის, ბევრი კუთხით. აქტუალური თემებია, რომლებიც მოქალაქის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მართალია, ამ თემებზე ისედაც ვსაუბრობდით ქართულში, ბუნებაში, სხვადასხვა საგნებში, მაგრამ ლიტერატურული თხზულების შესწავლისას შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანი გამოგეპაროს, ბუნებაში კი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში გათვალისწინებული მიზნის ქვეშ გაიპაროს. ამ საგანში ერთადაა თავმოყრილი ყველაფერი, რაც ხაზგასმითაა დასანახი დღევანდელობისთვის. ყოველთვის ვაკეთებ რეფლექსიას. ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ, ხაზს უსვამენ – მე ეს სიტყვები ვისწავლე, რომლებიც მესმოდა და მნიშვნელობა არ ვიცოდი; მე ეს წესი ვისწავლე, რომელიც ვიცოდი, მაგრამ ზუსტად რას გულისხმობდა – არა; მე უფლება ვისწავლე, რომელიც ვიცოდი რომ მქონდა, მაგრამ ამ უფლების გვერდით რომ მოვალეობაა, არ ვიცოდი ან ვერ ვაცნობიერებდი... სწავლების ძალიან ბევრ მეთოდს ვიყენებთ, გაკვეთილები, ძირითადად, ინტერაქტიულია, დისკუსიასა და მსჯელობაზეა აგებული, ვმუშაობთ სხვადასხვა უნარების განვითარებაზე – პრეზენტაციის, წერის, კითხვის, გააზრების და ბევრ სხვ. – რაც სხვადასხვა საგნებში გვჭირდება იმისთვის, რომ თვითონ ბავშვი მივიყვანოთ დასკვნამდე და ეს ძალიან მომწონს.

„მოლაპარაკე კედელიც“ შევქმენით, სადაც თითოეული ჩატარებული გაკვეთილი დავათარიღეთ თანმიმდევრობით, თავისი საგაკვეთილო მიზნით, თემატიკით, შესრულებული აქტივობებით, ასევე, ბავშვების მიერ შექმნილი პრეზენტაციით თუ საშინაო დავალებით. ნამდვილად სიამაყით ჩავივლი ხოლმე ამ კედელთან, იმიტომ რომ, ეს ერთად შევქმენით, ჩემს კოლეგებთან და ჩემს ბავშვებთან ერთად და ძალიან მომწონს. იმედი მაქვს, რომ ეს პროექტიც ძალიან წარმატებული იქნება. მუშაობა უკვე დავიწყეთ, თემატიკა შერჩეულია, პირველიდან მეოთხე კლასებში რაც უნდა გავიაროთ, ვადები განსაზღვრულია, მეთოდიკა ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია, პროცესში ვართ, მოსამზადებელ სამუშაოებს ვატარებთ. მე პირადად, უკვე დავიწყე კლასთან მუშაობა და ვნახოთ, რა გამოვა. “

ნათია მეფარიძე: „ორდღიან ტრენინგზე გაგვაცნეს, რა სახის მუშაობა მოგვიწევდა სწავლების ახალი მეთოდით. ძირითადად, ცნებებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებია, რომლებიც უნდა გავააქტიუროთ და ისე დავნერგოთ. სიახლეა ის, რომ ტრენინგის დასრულების შემდეგ, სისტემატურად ვიკრიბებით. ორი ჯგუფი მუშაობს: ოთხშაბათი-პარასკევი – ტექნოლოგიების მიმართულებით, ორშაბათი-სამშაბათი-ხუთშაბათი – თეორიულ მასალაზე დაყრდნობით. ერთად ვადგენთ სასწავლო კურიკულუმს, თემატიკის მიხედვით, ასევე ერთობლივად ვგეგმავთ გაკვეთილებს, რაც აქამდე არ ყოფილა. პირველ ეტაპზე, შევარჩიეთ თემა „შემოდგომა“, რომელიც საგაკვეთილო პროცესს თან სდევს – ქართულში, ბუნებისმეტყველებაში, მათემატიკაში, ხელოვნებაში, უცხოურ ენებში თემატურად მიდის სწავლება. ოქტომბერი საორგანიზაციო თვეა, ნოემბრიდან უკვე აქტიურად გადავალთ გაკვეთილების ჩატარების რეჟიმზე.

სიახლეა კეთებით სწავლების მეთოდი – III-IV-კლასელები ჩაუტარებენ გაკვეთილებს I-II-კლასელებს (რა თქმა უნდა, ისინი მასწავლებელმა უნდა მოამზადოს), როგორ შეძლებენ ცოდნის გადაცემას, ამას გაკვეთილზე ვნახავთ. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი იქნება ფასილიტატორი, ხოლო ბავშვები – წამყვანი პედაგოგები.

სიახლეა ისიც, რომ ძალიან აქტიურად განიხილება ტრანსფერი – როგორ ვასწავლით ერთი და იმავე თემატიკას ქართულში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებაში ან სხვ. მსგავსი რამ ჩვენს პრაქტიკაში არ ყოფილა. ერთი თემატიკის ირგვლივ ტრიალებს ყველა მასწავლებელი, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით და ეს ძალიან საინტერესოა. გუშინ ავირჩიეთ თემა „შემოდგომა“ და დავგეგმეთ რომელი კლასების მოსწავლეები ჩაატარებენ გაკვეთილებს, ჩამოვთვალეთ რესურსები, რაც დაგვჭირდება (იქნება ეს აუდიო-ვიდეო რესურსები თუ სლაიდშოუ, ჩვეულებრივი კალმები თუ ფურცლები და ა.შ.). მე თუ მაქვს დღეს გაკვეთილი, მაგალითად, „კეთილი სანდალა“, მას უნდა მოვარგო „შემოდგომა“. გაკვეთილს გვერდს ვერ აუვლი, არ არის ისე, რომ გაკვეთილი ერთი მიმართულებით მიდის და შერჩეული თემატიკა – სხვა მიმართულებით. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს შერჩეული თემატიკის საპროგრამო მასალასთან დაკავშირება. მაგალითად, ხელოვნებაში შეიძლება დავხატოთ შემოდგომა, გავაცნოთ შემოდგომის ფერები, რომელი ხილია ამ დროს და ა.შ.; ქართულში – რაიმე მოთხრობა ან ლექსი შემოდგომაზე, ბუნებისმეტყველებაში – ამინდის ცვალებადობაზე გავამახვილებინოთ ყურადღება, მათემატიკაში – რაოდენობრიობაზე, მაგალითად, რამდენი ვაშლია ხეზე, მეორეზე რამდენით ნაკლებია და ა.შ.

სიახლეა ტექნოლოგიების მიმართულებითაც. სპეციალურად მასწავლებლებისთვის შიქმნა Gmail-ზე საიტი, რომელსაც ჩვეულებრივი Gmail-ისგან განსხვავებული ფუნქციები აქვს. მაგალითად, ჩვენ ონლაინრეჟიმში გვიწევს ვორდის ფაილში მუშაობა და სადაც უნდა წავიდე, აღარ მჭირდება ამ საქაღალდეების ფლეშკით ტარება, შემიძლია, სადაც ვიქნები, შევიდე საიტზე და ონლაინრეჟიმში გავაგრძელო მუშაობა. ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ დამახსოვრება ყოველ წუთს არ სჭირდება, ყოველ სამ წამში ავტომატურად იმახსოვრებს. თუ რედაქტირება მჭირდება, შემიძლია ძველი ვერსიის ნახვა, საჭიროა დროის მითითება და, ერთდროულად, ჩასწორებულ ვერსიასაც ნახავ და ძველსაც, სამუშაო ვარიანტს. ამას ხედავს ყველა, ვინც კი ამ საიტზეა შემოსული ან მოგვიანებით შემოვა. ამგვარად, როდესაც სახლში ვარ ან სხვაგან, კოლეგებთან შემიძლია ვითანამშრომლო დისტანციურად. აღარც ფურცელზე დაწერა და შემდეგ ჩასწორება გვჭირდება, თან სხვადასხვა ლოკაციიდანაც შესაძლებელი ყოფილა ეს ყველაფერი.“

ხათუნა გაგრატიონი: „ახალი მეთოდით მუშაობა საინტერესოა, ძალიან მომწონს. საერთოდ სიახლეების მომხრე ვარ და მომწონს, მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარჩვევებზე რომ გაიყვან, ასწავლი ახალი ტექნოლოგიებით, ახალი გადმოცემით. სასიხარულოა, რომ ახალ თემასთან დაკავშირებით დაწყებითების პედაგოგები ერთად ვმუშაობთ, ვიკრიბებით, ვმსჯელობთ, როგორ დავგეგმოთ, რა მიზანზე გავიდეთ, რა გავაკეთოთ, რა აქტივობით და ა.შ.

ოქტომბერი დაგეგმვის პერიოდია, ნოემბერში დაწყებითის ყველა მასწავლებელი ჩავატარებთ გაკვეთილებს და ამ თემის ირგვლივ ვიმუშავებთ. შემდეგ უკვე სხვა თემატიკას დავგეგმავთ. სწავლების ახალი მეთოდი სწორედ იმითაა საინტერესო, რომ შემოდის თემატური სწავლება, როდესაც ყველა საგნის მასწავლებლები ერთი თემის ირგვლივ ვერთიანდებით და ერთად ვმუშაობთ. ეს ნამდვილად სიახლეა და ბავშვებისთვისაც ძალიან საინტერესოა. რა თქმა უნდა, თემატურად გავდივართ სახელმძღვანელოში მოცემულ ან დამატებით მასალას, მაგრამ ეს ახლებურად ხდება – პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს საერთო თემატიკას ვუკავშირებთ.

ასევე საინტერესო იყო „მე და საზოგადოების“ პილოტირების პროცესი, ძალიან კარგი თემები და საკითხებია მოცემული, რომელიც დღეს დაწყებითებიდან უნდა ისწავლებოდეს. ბავშვებმა ძალიან კარგად აითვისეს, ხალისით აკეთებენ მითითებულ დავალებებს, ძალიან მოსწონთ. რაც მთავარია, აქტიურები არიან და ჩართულები გაკვეთილის პროცესში, თავიანთ შემოქმედებითობასაც გვიჩვენებენ ნამუშევრებით, ვახალისებთ ერთმანეთს და ამიტომ მოსწონთ ეს საგანი.“

თამილა ჩუგინიძე: „გასულ წელს ჩვენს სკოლაში დაიწყო „მე და საზოგადოების“ პილოტირება, ამას წინ უძღოდა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და აღშფოთება. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო განათლება ბაღის პერიოდიდან უნდა იწყებოდეს, იმიტომ რომ, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება ჩვენს საზოგადოებას ძალიან სჭირდება. ეს საზოგადოების ფორმირებისთვისაა საჭირო. ამიტომ არ შეგვეშინდა და როცა სამინისტრომ დასვა კითხვა, ხომ არ გამოიჩენდა რომელიმე სკოლა მოხალისეობას, რომ დაეწყო „მე და საზოგადოების“ პილოტირება, დირექტორთან შეთანხმებით, ვუთხარით, რომ ჩვენ ამას შევძლებდით. პილოტირების პროცესში კარგი რევიზიაც გამოვიდოდა, თუკი რაღაც ისეთი იყო, რის გამოც ერთი წლით შეჩერდა ამ საგნის სკოლებში შეტანა, ერთად გვენახა და, საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროსთან ერთად გვეზრუნა, რომ გადაკეთებულიყო. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ საჩოთირო, უხერხული ან ამორალური არაფერი დაგვინახავს და აქედან გამომდინარე, ხელი შევუწყვეთ მის დანერგვას, მერე სახელმძღვანელოებიც დაიბეჭდა და სკოლაში შევიდა.

„მე და საზოგადოების“ პილოტირებამ მოიტანა პროექტი, რომელსაც ახლა ვნერგავთ, ჩვენ უკვე თანამშრომლობითი, კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან. ჩვენს სკოლაში ჩამოყალიბდა კარგი გუნდი მასწავლებლების, ვისაც შეუძლია ამის კვალიფიციურად გაკეთება, მით უმეტეს, თუკი ეს ქვეყნისთვის კარგი იქნება. არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი წვლილი მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო იქნება იმიტომ, რომ საჭიროა სადღაც ვიღაცამ გულით და გონებით მოახდინოს რაღაცის პილოტირება, ჩვენ ეს შეგვიძლია გააზრებულად ვაკეთოთ და არა უბრალოდ რაღაცის გაკეთებისთვის. თუმცა ეს არ იქნება იოლი, აქ არიან ძველი გამოცდილების მასწავლებლები, რომლებსაც უჭირთ ახალთან ძველის შეთავსება და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ – რატომ არის საჭირო სწავლების ახალი მეთოდი და არა ის, რაც უკვე აპრობირებულია. ამ შემთხვევაში, საჭიროა პროფესიონალთა გუნდი (რომელიც ჩვენთან მუშობს), სამინისტროს გუნდი, რომელიც ნელ-ნელა, თმენის მაღალი ვალდებულებით ცდილობს ამ ყველაფრის მიტანას მასწავლებლებამდე. ჩვენც, ჩვენი მხრივ, ვცდილობთ და რაღაც აუცილებლად უნდა გამოვიდეს. იმედი გვაქვს, ნელ-ნელა ყველა გაითავისებს, რომ წიგნიც საჭიროა და კომპიუტერიც.

ჩვენს დირექტორს რაც შეეხება, ძალიან კომუნიკაბელურია, ღიაა ყველა სიახლისთვის, ეს დიდი ბედნიერებაა და მას ჩვენც, მოადგილეებმა და პედაგოგებმა, უნდა შევუწყოთ ხელი. მოსწავლეებიც მზად არიან სიახლეებისთვის. მიხარია, რომ არის ჯგუფი მასწავლებლების, 5-6 პედაგოგი დაწყებით საფეხურზე, რომლებიც უნისონში მოქმედებენ, თავისი მრავალხმიანობით უნისონამდე მიდიან. ვფიქრობ, ამ ყველაფერს, რასაც ვგეგმავთ, წარმატებით გავართმევთ თავს“.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

გამოცდილება

სიცილი საკლასო ოთახში

სიცილი ეფექტური საშუალებაა სწავლების პროცესში. სიცილი საკლასო ოთახში საუკეთესო გამოსავალია მოსწავლე-მასწავლებელს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის დასამყარებლად. ურთიერთობას ისე არაფერი ამყარებს და აგვარებს, როგორც – ერთად სიცილი. ასევე, გაკვეთილს ხდის უფრო საინტერესოს. მას შეუძლია განტვირთოს მოსწავლე, მოუხსნას დაძაბულობა და შეუქმნას ისეთი ატმოსფერო, როგორშიც სასურველია სწავლება და კომუნიკაცია. საკმარისია კლასში წაიკითხო იუმორისტული თავგადასავლები და იგრძნობ, რომ მოსწავლეები გამოცოცხლდნენ.

აკაკი ბაქრაძე წერდა: *„ქართულ მწერლობაში სიცილს სამი მიმართულება აქვს: პირველი – ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილისა, მეორე – დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძისა, მესამე – ნოდარ დუმბაძისა. როცა ილია და მიხეილ ჯავახიშვილი ხარხარებენ, გაწნული სილის ტკაცუნი ისმის, მამხილებელი ძალა სირცხვილით გწვავს და გდაღავს. როცა დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანთა მიმართ თანალმობის სურვილი გიჩნდებათ. როცა ნოდარ დუმბაძე იცინის, მხიარულების ძალით ივსებით, მისი სიცილი გაჭირვების დამთრგუნველი იარაღია“.*

დავით გურამიშვილმა, ყველაზე ტრაგიკულმა პოეტმა, ბრძანა: *„არც არა მარგო ტირილმა/არც არა ცრემლის დენამა,/აჯობა ისევ სიცილმა,/ლაქარდიანმა ენამა“.* არისტოტელემ, ბერძენმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა, სიცილი ადამიანის განმსაზღვრელ თვისებად აღიარა. აზროვნებასა და მეტყველებასთან ერთად თავისუფალი სულის გამოხატულებად მოიაზრა. ცხადია, სიცილი, ისევე როგორც მეტყველება და გონება, ადამიანის სიკეთის მაჩვენებელიც შეიძლება იყოს და ბოროტებისაც, სიბრძნისაც და სიბრიყვისაც, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, იგი თავისუფალი რეაქციაა ამა თუ იმ სახის შეუსაბამობაზე. ქართულ მწერლობაში იშვიათად იცინოდნენ და იშვიათად აცინებდნენ მკითხველს, თუმცა საერთოდ ბევრ ნაწარმოებში მაინც შეიძლება სიცილის მიზეზის ნახვა. სიცილი სულხან-საბას განმარტებით არის: *„საამო სულის ოხვრა“.* სულხან-საბა გამოყოფს სიცილის სახეობებს: ღიმილი – უხმო, მშვიდი სიცილი, კაშკაში – მაღალი ხმიანი, მოხდენილი სიცილი, კასკასი – მაღალხმიანი, წვრილხმიანი სიცილი, რახრახი – მაღალხმიანი და უზრდელური, უშნო, ბრიყვული, მაამებლური სიცილი, თქართქარი – მრავალხმიანი სიცილი, ღინცილი – დამცინავი, ირონიული სიცილი, ფრუსტუნი – ვისაც არ უნდა სიცილის გამოჩენა, ხარხარი – ხმამაღალი, მოურიდებელი სიცილი.

სიცილის ძალა და მნიშვნელობა გამოკვეთილია სულხან-საბას იგავ-არაკში „მოტირალი და მოცინარი“, რომელშიც მოცინარი კაცი მოტირალივით უჩივის წუთისოფლის სიმოკლეს, კაცთა უგუნურებას, ამაო და უსარგებლო ქადაგებას, თუმცა მოტირალისგან განსხვავებულ დასკვნას აკეთებს: *„აწ სიცილს ძალი მივეც, მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელიაო“.* პერსონაჟები ხშირად ხუმრობით ამბობენ სათქმელს, არ ერიდებიან ერთმანეთის გაქილიკებასა და დაცინვასაც კი. მაგალითად, აშკარად, ლეონის გამასხარავება უნდოდა რუქას, როდესაც ლეონი ჰყვებოდა თავისი მშობლების დახოცვისა და აქა-იქ სვლაში გაზრდის ამბავს, რუქამ კი უთხრა: *„დიდად ბედუკეთური თურე ხარო“,* რაზეც ლეონმა მოსწრებულად მოუჭრა: *„თუცა ბედკეთილი ვყოფილვიყავ, დღეს შენ არა გნახევდიო“* და ამ პასუხით რუქა იქ მყოფთა თვალში მასხრად აიგდო.

სიცილი გაისმის სულხან-საბას სხვა იგავ-არაკებშიც. მკვლევარი მაია ჯალიაშვილი წერილში „სიბრძნე სიცრუისას“ სტილის სწავლებისათვის“ მიმოიხილავს სულხან-საბასეულ სიცილს. მისი აზრით, სასაცილო მთელი იგავ-არაკია, ხან მისი რომელიმე პერსონაჟი. *„ერთმა კაცმა მარგალიტები პირში დამალა. მეკობრენი შემოხვდნენ და მუნჯი ეგონათ: „ერთმა თქვა: გავძარცვოთო, მეორემ თქვა: რა წაუღოთო? მესამემ თქვა: არაკად თქმულა, თორმეტნი შიშველს ნიფხავსა ხდიდნენ და ვერ გახადესო. ამ სიტყვასა ზედა მას კაცსა გაეცინა და ორი თვალი პირით გადმოაგდო“* („უბედური დიდვაჭარი“). სასაცილოა ხან აზრი და ხან გამოთქმა. მაგალითად, იგავ-არაკში ღიმილს იწვევს სიტყვა, რომელიც ამ კონტექსტისთვის შეუფერებელია. მაგალითად, ლილით შეღებილი მელა მამალს რომ ეუბნება: *„ბერად შევდეგ, იერუსალემს მინდა წავიდეო“.* ნასოფლარზე ნაცანცარები მელასგან უცებ ბერად შედგომა და იერუსალიმს წასვლა იმდენად კონტრასტულია, რომ ღიმილს იწვევს, ხოლო მამალი რომ ამას სრულებით სერიოზულად და დაუეჭვებლად მიიღებს, სიცილის შეკავება შეუძლებელია. შემდეგ ოფოფი და ძერაც რომ გაბრიყვდებიან, წერია: „შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი“. ამავე წიგნში ამხანაგის ცნების საბას შეგონებებს თუ გავითვალისწინებთ, რომელთა მიხედვითაც: *„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზე ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის“,* რა თქმა უნდა, სასაცილოდ მოჩანს ფრაზა: *„შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი“* ან კიდევ *„მელი სოროსკენ გაუძღვა“.* აქ თითქოს უადგილო *„გაუძღვა“* ღიმილის მომგვრელია. ამავე რიგისაა *„სოროში შეასხა“.* ყურადღება გამახვილებულია სიტყვაზე *„შეასხა“.* შეასხა, როგორც გზადაბნეული ცხვარი და არა შეიყვანა, ან კიდევ, როცა მელი ეტყვით, ორ ცოდვას შეგინდობთ, მესამეს კი არაო. ისინი არც დაფიქრებულან და, მით უმეტეს, არ შემკრთალან, *„თავი უბრალონი ეგონათ“.* აქ *„უბრალონი ეგონათ“,* სასაცილოა. *„უბრძანა პირველსა მოწაფეს, მამალსა“.* აქ სიტყვა *„მოწაფის“* ხსენება იმდენად მოულოდნელად უადგილოა, სახარებისეული კონტექსტის საპირისპირო, რომ მოსწავლეს ისღა დარჩენია, გულიანად იცინოს მელის ეშმაკობასა და მის *„მოწაფეთა“* სიბრიყვეზე. ასე რომ, ამ წიგნში სიბრძნე სიცრუისაც წარმოჩნდება და სიბრძნე სიცილისაც. სიცილის ამგვარი განხილვის ფონზე, ქართული ენის გაკვეთილზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და განმტკიცების მიზნით, ხშირად მივმართავ შემდეგნაირ აქტივობას. მოსწავლეებს ვთავაზობ ლექსიკაზე მუშაობას და ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგიის ძიებასაც: *„ვეძებოთ სიცილის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართველურ ენებში“.* ჩვენ ერთად ვაყალიბებთ თეზისებს:

1. სიცილი ადამიანის ემოციების, გრძნობების გამომხატველია.
2. სიცილი ხმაბაძვითი სიტყვაა, ადამიანის არასამეტყველო ბგერადობა. სიცილის აღმნიშვნელი სიტყვების ძირითად მასას ე.წ. პირველადი მასდარები წარმოადგენს, რომელსაც ეყრდნობა მედიოაქტიური ზმნები (ებ თემისნიშნიანები) ქირქილი – ქირქილებს, ხარხარი – ხარხარებს.
3. სიცილის აღმნიშვნელ სიტყვებში ხშირად ვხვდებით ფუძის გაორმაგებას (კის-კისი, თქარ-თქარ-ი, კაშ-კაში).
4. გაორმაგებულ ფუძეებს ენაცვლება გაუორმაგებელი, მაგრამ სუფიქსდართული ფუძე -ილ დაბოლოებიანი ტკარცალი და -უნ დაბოლოებიანი ფრუსტუნი.
5. გამოიყოფა ხმამაღლიობის ელფერით განსხვავებული სიტყვები, ე.ი. ხმიანი და უხმო სიცილი. საინტერესოა ის სპეციფიკური ქალური სიცილი (კისკისი, კასკასი, ტკვარცალი), რომლებსაც მამაკაცზე ვერ იტყვი და პირიქით, კაცური სიცილი, რომელსაც ქალზე ვერ წარმოიდგენ (როხროხი, ხარხარი, რახრახი).
6. ბავშვური სიცილი – „კუჭკუჭი“ (გულუბრყვილო ბავშვური კუჭკუჭი მოსდევდა).
7. რაც შეეხება სიტყვა „სიცილის“ ეტიმოლოგიას, „ც“ ძირი ამოსავალია ქართულში, მეგრულსა და სვანურში. ზანურში – „ძიც-ა“, სვანურში – „ლი-ც-ნა“. სიცილი უკავშირდება ციალს, ნათელს, ვინაიდან სიცილის დროს სახე განათებულია, გაცისკროვნებული.

მოსწავლეთა მოტივაცია მაღალია და პროცესიც სახალისოა. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები მიეჩვევიან ლექსიკონების ფართოდ გამოყენებას, დაიმახსოვრებენ სიტყვებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, გაიმდიდრებენ ამ სიტყვებთან დაკავშირებულ ცოდნას და თან ეძებენ გამონათქვამებს სიცილზე, რომ 45-წუთიანი გაკვეთილი ხალისიანად დასრულდეს.

„სიცილი გამოსავალს გვაპოვნინებს“ (ხალხური).
„სიცილი ადამიანის გამოცდის საუკეთესო საშუალებაა“ (დოსტოევსკი).
„ვინც გულიანად იცინის, მან მე სწორად გამიგო“ (ჩე გევარა).
„დაკარგულია ის დღე, როდესაც არ ვიცინით“ (ჩარლი ჩაპლინი).
„არსებობს უკეთესი ფორმა თავისუფალი ცხოვრებისა, ვიდრე სიყვარული და სიცილია?“ (ჩარლზ დიკენსი).

ლია გოგოხია
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გიგინეიშვილი ლ., „დეტექტივის და შუა საუკუნეების დეკონსტრუქცია უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“, http://arilimag.ge/;
2. გოგოხია ლ., „სიცილის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და ზანურში“, XVI რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1996;
3. კუპრავა დ., „სიცილი“, http://mastsavlebeli.ge/?p=119, 21.12.2015;
4. ნეიმანი ალ., „სინონიმთა ლექსიკონი“, განათლება, 1978;
5. ორბელიანი სულხან-საბა, „სიტყვის კონა“, მერანი, 1991;
6. ტრაპაიძე ნ., „სიცილის პოეტიკა უახლეს მხატვრულ აზროვნებაში“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library;
7. ჯალიაშვილი მ., „სიბრძნე სიცრუისას“ სტილის სწავლებისათვის, http://mastsavlebeli.ge/?p=9221., 29.02.2016.

მიმდინარეობს პროფესიულ პროგრამებზე განაცხადების მიღება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 3 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია გამოაცხადა

მინიმუმ 9 კლასის განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს, შესაძლებლობა აქვთ, საქართველოს ყველა რეგიონში, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, დაეუფლონ სასურველ პროფესიას ტურიზმის, მშენებლობის, ინჟინერიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ხელოვნების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებებით.

მსურველებს, შეუძლიათ აირჩიონ დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის, მშენებლობის ტურიზმისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მიმართულებებით. სწავლების პროცესში ჩართულია 40-მდე კერძო კომპანია.

შეგახსენებთ, პროფესიული განათლების მიღებისათვის ასაკობრივი ზედა ზღვარი დაწესებული არ არის!

რეგისტრაციის გავლა, პირადობის მოწმობით, შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

ასევე, აპლიკანტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული (ონლაინ) რეგისტრაციის რეჟიმიც vet.emis.ge ვებგვერდის მეშვეობით. რეგისტრაცია შესაძლებელია ერთი მიმართულების ქვეშ არსებულ რამდენიმე პროგრამაზე!

რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ. ტესტირების შედეგების შემდეგ, აპლიკანტებს საშუალება ექნებათ გადახედონ რეგისტრაციისას მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს და, ერთი მიმართულების ქვეშ, შეცვალონ სასურველი პროგრამების სია, მიღებული ქულებისა და წინა წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ, ასევე ტესტების ნიმუშები განთავსებულია ონლაინ რეგისტრაციის პორტალზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები რეგისტრაციას გადიან ზემოაღნიშნული პროცედურის საფუძველზე, თუმცა ისინი სარგებლობენ ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით. წელს პირველად, დუალური პროგრამები ხელმისაწვდომი ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც!

ისევე, როგორც წინა წლებში, მიმდინარე საშემოდგომო მიღებაზეც, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებდნენ პროფესიული განათლების მიღებას, შესაძლებლობა ექნებათ ტესტირება გაიარონ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. ჩარიცხვის შემდეგ ისინი გაივლიან ქართული ენის შემსწავლელ მოდულს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გისურვებთ წარმატებას!

ინკლუზიური განათლება

ცვლილებები კანონში ინკლუზიური განათლების მიმართულებით

3 ოქტომბერს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უწყების სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები საქართველოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებს შეხვდნენ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ირინა აბულაძე საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებს ზოგადი განათლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, მიმდინარე და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა. შეხვედრაზე უწყების სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებმა სისტემაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. აღნიშნული ღონისძიება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ინკლუზიური განვითარების სამმართველოს მიერ იყო ორგანიზებული.

გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ეკატერინე დგებუაძე.

ცვლილებების განხილვა

საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებთან შეხვედრის მიზანი ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ საუბარი იყო. შეხვედრაზე რამდენიმე კომპონენტი განვიხილეთ, მათ შორის, ინკლუზიური განათლება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებაა ის, რომ სპეციალური მასწავლებელი კანონმა მასწავლებლად აღიარა და მისი საბაზისო ხელფასი მასწავლებლის ხელფასს გაუთანაბრდა; გარდა ამისა, ცვლილება შევიდა იმ ნაწილში, სადაც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, კანონმა, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, აღიარა ალტერნატიული და გაფართოებული სასწავლო გეგმა, რაც მძიმე და ღრმა ინტელექტუალური და სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის კიდევ უფრო მოქნილს და მათ საჭიროებაზე მორგებულ სასწავლო პროცესს გულისხმობს; დღეს სისტემას რვა სკოლა-პანსიონი აქვს. კანონში შესული ცვლილების ფარგლებში, სისტემაში არსებული სკოლა-პანსიონი დაფუძნდა რესურს სკოლებად, რაც ინკლუზიური განათლების განვითარების მხარდამჭერი რესურსი იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობს რესურსსკოლის მოდელზე მუშაობა. თბილისში განთავსებულია 4 რესურსსკოლა, ორი მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, ერთი სმენის და ერთი მხედველობის მიმართულებით; ასევე მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს რესურს სკოლა ახალციხესა და ჭიათურაში, ასოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის ერთი რესურსსკოლა სამტრედიაში და სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის ერთი სკოლა – ქუთაისში.

ინტეგრირებული კლასები

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ასევე დაეხმარება სისტემას ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში, არის ის, რომ გაჩნდა სხვადასხვა ტიპის დაშვება, საჭიროებიდან გამომდინარე. ამ ბავშვებისთვის შეიქმნას სხვადასხვა სახის სერვისები, მათ შორის, ერთ-ერთი მოდელი მხარდამჭერი სერვისის ინტეგრირებული კლასებია, რომელიც კანონმა ლეგიტიმურად აღიარა. ინტეგრირებული კლასი არის საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდამჭერი დამატებით მომსახურება, რაც მოსწავლის ინტეგრაციას და ინკლუზიას უწყობს ხელს.

საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2014 წელს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების ძირითადი მიზანი იყო ჰარმონიზაცია მოგვეხდინა ზოგადი განათლების შესახებ კანონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24 მუხლთან. სმენის არმქონე მოსწავლეებისთვის კანონმა აღიარა ალტერნატიული საკომუნიკაციო ენა – „ჟესტური ენა“ და უსინათლო მოსწავლეებისთვის ბრაილის შრიფტით სწავლების შესაძლებლობა გააჩინა. საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან შეხვედრის ძირითადი მიზანი, მათთვის ყველა იმ სიახლის გაცნობა იყო, რაც დასახა განათლების სამინისტრომ.

სპეციალური მასწავლებლების ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში

სპეციალური მასწავლებლების მასწავლებლად აღიარება საკმარისი არ არის. მასწავლებლის სახლთან ერთად, დავიწყეთ სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაზე მუშაობა, ასევე სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის გადახედვა და ვფიქრობთ, 2019 წელს, სპეციალური მასწავლებლის განვითარების გზა, მოდელი და წესი დამტკიცდება და ეს ადამიანები შეძლებენ განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას. მოდელი ახლოს იქნება მასწავლებლის სქემის სტრუქტურასთან და შინაარსთან, სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებებით.

მნიშვნელოვანია, სისტემაში უნივერსიტეტის დონეზე მომზადებული კვალიფიციური კადრები გვყავდეს. ეს ერთ-ერთი გამოწვევაა. ამ მიმართულებით ბევრი გვაქვს სამუშაო. გვინდა, საუნივერსიტეტო დონეზე მეტად გაძლიერდეს პროგრამები და ამ ადამიანებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ, აიმაღლონ კვალიფიკაცია და არა მარტო მასწავლებელის სახლთან არსებული სატრენინგო მოდულები გაიარონ, არამედ უნივერსიტეტებშიც გაჩნდეს ამ ტიპის გადამზადების პროგრამები.

ინფრასტრუქტურა

ამ ეტაპზე პრობლემაა ინფრასტრუქტურის საკითხი. ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ სამინისტროს ინფრასტრუქტურის სსიპ-თან, ყოველწლიურად ვაწვდით ინფორმაციას, პირველ რიგში, გადაადგილების პრობლემის მქონე მოსწავლეების შესახებ და ვთხოვთ, სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ, სად ირიცხებიან შშმ მოსწავლეები. ფიზიკური გარემო ამ ადამიანებისთვის სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ფსიქოლოგი

ფსიქოლოგების ხელფასი დაითვლება საათობრივი დატვირთვით. რეკომენდაციის დონეზე გავთვალეთ, რამდენი საათი უნდა იმუშაოს მასწავლებელმა და ჩვენი გათვლით, ისინი მეტ ხელფასს მიიღებენ, ვიდრე აქამდე ჰქონდათ.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

ევროპული ენების დღე თელეთის საჯარო სკოლაში



30 სექტემბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნინო მერაბიშვილი**), ევროპული ენების დღე აღინიშნა.

უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა – **ჟუჟუნა ქურასბედიანმა** და **შორენა ფირცხალავამ** – ტრადიციას არ უღალატეს და VII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, ჩაატარეს ღონისძიება „30 სექტემბერი ევროპული ენების დღეა“. კედლებზე გამოიკრა ცნობილი ადამიანების ინგლისურენოვანი გამონათქვამები ენის შესახებ.

ღონისძიება გაიხსნა ევროკავშირის ჰიმნით. მოსწავლეებმა უცხოური ენების სწავლისა და ცოდნის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება, ინგლისურ და გერმანულ ენებზე წარმოთქვეს ლექსები და ცნობილი ადამიანების გამონათქვამები. შესრულდა ინგლისურენოვანი სიმღერა „We are friends“.

ღონისძიების დასასრულს კვლავ გაჟღერდა ევროკავშირის ჰიმნი, რამაც ამაღლებული განწყობა შექმნა მასწავლებლებსა და მოსწავლეებში. ეს დღე დაუვიწყარი იქნება VII კლასის მოსწავლეებისთვის, რადგანაც მათ იხალისეს და იმხიარულეს, იმავდროულად, ბევრი რამ გაიგეს ევროპული ენების დღის შესახებ და შეისწავლეს ლექსები, სიმღერები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრა

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი 135 წლისაა

საქართველოს უძველესმა პროფესიულმა სასწავლებელმა, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში მდებარეობს, 135 წლის იუბილე აღნიშნა.

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, – მართლა, რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის-შვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა, მეორეს მხრივ აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლია საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის, საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მაშ, ყველა ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავუღოთ სასწავლებლის კარი ყველა ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.“ – ასე მიმართა 1883 წლის 4 სექტემბერს გახსნაზე მოსულთ ილია წინამძღვრიშვილმა.

სკოლის ძირითად მიზნად ილია წინამძღვრიშვილმა განსაზღვრა ზოგადი განათლების მიცემა და სამეურნეო საქმის სწავლება (მინათმოქმედება, მეღვინეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეტყევეობა). სასწავლო გეგმაში შედიოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, პრაქტიკული გეომეტრია, მოკლე გეოგრაფია კავკასიისა, ზოოლოგია, ბოტანიკა. კურსადამთავრებულებს პედაგოგიური საბჭო აძლევდა ატესტატს. სკოლის პირველი გამგე იყო ერმილე ნაკაშიძე, სკოლის პირველი მასწავლებლები იყვენენ: ევ. კანდელაკი, მ. ასათიანი, ლ. თაბურაძე, ლ. ბოცვაძე, გ. ასათიანი.

სკოლას აფინანსებდა თვითონ ილია წინამძღვრიშვილი და ასევე იღებდა შემოწირულობებს სხვადასხვა ორანიზაციებიდან, კერძო პირებიდან და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან. სკოლაში იღებდნენ 10-12 წლის ჭაბუკებს განუსხვავებლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წარმომავლობისა. სკოლაში სასწავლებლად თავიდან შევიდა 22 მოსწავლე. საქართველოს პირველი და უძველესი პროფესიული სასწავლებლის წარმატებასა და განვითარებაში წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ.

2010 წელს გაუქმდა სასწავლებელი, 2014 წელს კი ახლიდან დაფუძნდა და 2016 წელს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ, გაიარა ავტორიზაცია და მიიღო 24 სტუდენტი აგრარული მიმართულების სამი პროგრამით, ორი დუალურით – მეხილეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, ერთიც მოდულური – მეფუტკრეობა. 2018 წლისათვის კოლეჯში 9 პროგრამაზე ირიცხება 240 სტუდენტზე მეტი, სასწავლო კორპუსებია წინამძღვრიანთკარში, დაბა თიანეთსა და დაბა სტეფანწმიდაში. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები დუშეთის სასწავლო ფართის რეაბილიტაციისათვის.

ბოლო წლებში გაიზარდა კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობა, განსაკუთრებით მეორე პროფესიის დაუფლებისადმი მისწრაფება. კოლეჯის ადმინისტრაცია ეხმარება კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.

კოლეჯი თანამშრომლობს: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან; KTV კახურ ტრადიციულ მეღვინეობასთან; სურსათის ეროვნულ ცენტრთან; საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან; საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღთან; სატყეო სააგენტოსთან; „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“; „ბაგრატიონი 1882-თან “; შპს მექანიზატორთან.

მომავალი წლიდან კოლეჯს მოემსახურება სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი.

უძველესი პროფესიული სასწავლებლის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების მსვლელობისას, გაიმართა საპილოტე ინიციატივის – „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ – შემაჯამებელი პრეზენტაცია.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მხარდამჭერები – გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) თანამშრომლობით.

„საქართველოს სასახელო მოღვაწეებს, რომელთა თანადგომითაც დაარსდა წინამძღვრიანთკარის კოლეჯი, კარგად ესმოდათ პროფესიული განათლების მნიშვნელობა როგორც ხალხისთვის, ასევე ეკონომიკისათვის. დღეს საქართველოს პროფესიულმა განათლებამ ახალი სუნთქვა შეიძინა, მაგრამ თავის მდიდარ ტრადიციებს კვლავაც არ ღალატობს.“ – განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**.

ოლივიე ბურკიმ, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარება ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობას უწყობს ხელს.

„საქართველოს უძველესი კოლეჯი იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ იცვლება ეკონომიკა და ადამიანების ცხოვრება განათლების სისტემაში ახალი მიდგომების დანერგვის შედეგად. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის რეფორმის გზაზე. შვეიცარია მომავალშიც შეუწყობს ხელს ამ მეტად პოზიტიურ და საჭირო განვითარებას“, – აღნიშნა მან.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა პროფესიული განათლების რეფორმისადმი უფრო ფართო ხელშეწყობის ნაწილია, რომელსაც შვეიცარიის მთავრობა, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, ახორციელებს.

„ამ მოდელის შედეგებით საქართველოში უკვე 100-ზე მეტმა სტუდენტმა და 20-ზე მეტმა კერძო კომპანიამ ისარგებლა, – თქვა **გიორგი ნანობაშვილიმა**, UNDP-ის ეკონომიკური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელმა საქართველოში. – *დღევანდელი დღე ძალიან სიმბოლურია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისათვის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლისათვის. ეს არის დღე, როდესაც ჩვენ შევძელით, ერთად მოგვეყარა თავი ყველა ჩვენი პარტნიორისთვის, დონორებისთვის და მთავრობის წარმომადგენლებთან და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (რომელიც კერძო სექტორის მთავარი წარმომადგენელია ჩვენს საქმიანობაში) ერთად აღგვეღნიშნა სისტემაში არსებული მიღწევები, გვესაუბრა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს შემდგომში იმისათვის, რომ საქართველოში პროფესიული განათლების სისტემამ შეძლოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროფესიული განათლება უნდა პასუხობდეს ყველა იმ საჭიროებას, რომელიც დარგში არსებობს და იყოს დამხმარე ეკონომიკისთვის იმ ტექნოლოგიებისა და ცოდნის დანერგვის საქმეში, რომელიც საჭიროა ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე.“*

„დღეს ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიული განათლების 135 წლისთავს აღვნიშნავთ. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გაეროს განვითარების პროგრამას, ასევე, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს იმისათვის, რაც გაკეთდა აღნიშნული კოლეჯის განვითარებისათვის. იმედი გვაქვს, მომავალი წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება იმ პროგრამების სპექტრი, რომელსაც აღნიშნული კოლეჯი განახორციელებს, ასევე, გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ კოლეჯში ისწავლიან.“ – ამბობს **ირინე წეროძე**, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

წინამძღვრიანთკარის საზოგადოებრივი კოლეჯის საიუბილეო ღონისძიება სასწავლებლის პირველ შენობასთან დაიწყო, სადაც ისტორიული გამოფენა გაიმართა. ამას მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პროფესიული სტუდენტების მიერ მოწყობილი აგრარული მასტერკლასები და გამოფენა. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს მეხილეობის, რძის გადამუშავების, ნერგების დამზადების მასტერკლასებში, დაესწრნენ თაფლის ექსპერტიზას, გაეცნენ სურსათის უვნებლობის, ნიადაგის ანალიზისა და, ასევე, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მიდგომებს.

მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა

სხედან: ნიკო ყაზბეგი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი.
დგანან: გიორგი ჟურული, ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ ყიფიანი.

სურათები ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის არქივიდან

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მთავარი სასწავლო კორპუსი

პროფესია პედაგოგი

„ჩემს მასწავლებელს უბით სინათლე მოაქვს!“

მასწავლებლის დღე და ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ **ლუდმილა ურეკაძის** გაცილება საზეიმოდ აღნიშნეს თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში. სკოლის დირექტორის, ქალბატონ **მანანა კიკაჩეიშვილის** თაოსნობით პედაგოგებს კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო აჩუქეს მოწვეულმა სტუმრებმა, მომღერლებმა: **ლაშა ღლონტმა, გურამ ქავთარაძემ** და **ირაკლი შეწირულმა**. ბატონმა ლაშამ, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, შეძლო და გვესტუმრა სკოლაში, ამით დააფასა პედაგოგთა შრომა და თავისი სიმღერებით გაულამაზა საღამო მასწავლებლებს. სკოლის მასწავლებლებმა წარმოადგინეს მათ მიერ დადგმული სპექტაკლის „ბერნარდა ალბას სახლის“ ფრაგმენტები, ცოცხლად შეასრულეს არაჩვეულებრივი ქართული სიმღერები, ლაშა ღლონტთან ერთადაც.

სკოლამ ჩაწერა ინტერვიუ ქალბატონ ლუდმილასთან და მის ყოფილ მოსწავლეებთან. ინტერვიუში იგი საუბრობს სკოლაში 45-წლიანი მოღვაწეობის შესახებ, იხსენებს მისთვის ძვირფას პერიოდს ცხოვრებიდან. ქალბატონი ლუდმილას აღზრდილები მთელი მსოფლიოდან უკავშირდებიან მას და მადლიერებას გამოხატავენ ამ ნამდვილი პედაგოგისა და პროფესიონალის მიმართ.

მასწავლებლობა, სწორედ რომ, ერისკაცობა და გმირობაა, მით უფრო საქართველოში, სადაც ღირსეულმა ახალმა თაობებმა უნდა შექმნან ღირსეული მომავალი. სწორედ ამიტომ, 72-ე საჯარო სკოლაში, მთავარი ფიგურა ბავშვია, ხშირად იგეგმება და ტარდება მოსწავლესა და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტები, ღონისძიებები, კონკურსები... შედეგად ვიღებთ მადლიერების წერილებსაც. ერთ-ერთი წერილი ეკუთვნის შარშანდელ კურსდამთავრებულს, **მარი ჯოხაძეს**, რომელმაც საოცრად გულწრფელი და სიყვარულით სავსე სიტყვები მოგვიძღვნა:

„საბედნიეროდ, მე შევიცვალე სკოლა და მოვხვდი უთბილეს გარემოსა და საუკეთესო ხალხის გარემოცვაში, არასოდეს მიგვრძნია თავი ცუდად ჩემს უსაყვარლეს სკოლაში. არ ვიცი ეს რაგორ მოხდა, ყველაფერი იმის დამსახურებაა, რომ საუკეთესო კლასში მოვხვდი თუ საუკეთესო მასწავლებლების ხელში. 1 წელი გავატარე ამ სკოლაში, მაგრამ ამ მოკლე ხანში ვისწავლე დიდი სიყვარული: სიყვარული მასწავლებლების მიმართ, სკოლის მიმართ, კლასელების მიმართ და ეს ყველაფერი იმ გარემოს დამსახურებაა, რომელიც ჩემს სკოლაში იყო. თბილისის 72-ე საჯარო სკოლა არის ადგილი, სადაც ბავშვს შეუძლია ისწავლოს არა მარტო საგნები, არამედ ადამიანობაც. აქ ყველას უყვარხარ, რადგან მათ იციან სიყვარული. მათში არ არის ბოღმა და სიძულვილი, ისინი მართლაც საუკეთესოები არიან“.

ქალბატონმა მანანამ დამსახურებული მადლობა გადაუხადა ინგლისური ენის ღვაწლმოსილ პედაგოგს და მთელმა კოლექტივმა ღირსეულად გააცილა იგი პენსიაზე.

ქალბატონმა ლუდმილამ აღფრთოვანება ვერ დამალა: *„ისეთი გაცილება მომიწყვეთ, გაოგნებული ვარ, ერთი 45 კი არა, სამი 45 წელი უნდა მემუშავა, რომ ასეთი დაფასება დამემსახურებინა, ამდენი სითბო და სიყვარული მიმეღო. ასეთი ტრადიცია, ვგონებ, არცერთ სკოლას არ აქვს. დიდი მადლობა ამისათვის“.*

დაბოლოს, საპატიო დაფაზე – „ქედს ვიხრით თქვენი პედაგოგიური ღვაწლის წინაშე“ – გაჩნდა მესამე გვარიც – ლუდმილა ურეკაძე.

საზეიმო ღონისძიებაზე გაიჟღერა მორის ფოცხიშვილის ლექსმა, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს იმ სითბოსა და სიყვარულს, რომელსაც იმსახურებს ყველა პედაგოგი.

„მოდის საქართველო ამაყი, ბრძენი,
რწმენის ცისარტყელა ჩანგივით ჟღერს
თოვლივით თეთრი, ნათელი,
წრფელი მასწავლებელი წინამძღვრობს ერს.
თენდება დილა საიადონო, ბოლო ელება ლოდინს,
ქუდი მოიხადეთ, ბატონო ჩემო, მასწავლებელი მოდის!“

ქეთევან ქათამაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

აფხაზეთში დავბრუნდებით!

აფხაზეთში დავბრუნდებით! – ამ სიტყვებით დაიწყეს ღონისძიება 27 სექტემბერს, დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გიორგი ქომეთიანი**), VI კლასის მოსწავლეებმა, რომლებმაც ისაუბრეს აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირებაზე, 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე, სადაც 10000-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 300000 კი დევნილად იქცა საკუთარ სამშობლოში.

მოსწავლეებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს, რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და 30-მდე ქართველი ჯერ აწამეს და შემდეგ დახვრიტეს.

25 წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან, ყოველ 27 სექტემბერს, ენგურს აქეთა საქართველოში გლოვის, ხსოვნისა და იმედის დღეს აღნიშნავენ, ენგურს იქით კი რუსი ოკუპანტები და აფხაზები საქართველოზე გამარჯვებას ზეიმობენ, მაგრამ ქართველი ერი იმედით უყურებს მომავალს, რადგან ვიცით, რომ ჯვართამაღლებას აღდგომა და ამაღლება მოსდევს, სწორედ ეს ელოდება საქართველოს და ქართველ ერს, რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ამიტომაც, 27 სექტემბერი იმედის დღეცაა საქართველოსთვის.

მოსწავლეებმა წაიკითხეს როგორც საკუთარი, ისე დიმა ჯაიანის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და გიორგი გიგაურის ლექსები მიძღვნილი აფხაზეთზე, ჟიული შარტავაზე, ქალაქ გაგრაზე და ა.შ. შეასრულეს მუსიკალური ნომრები აფხაზეთზე. გაისმოდა შეძახილები: „აფხაზეთი საქართველოა!“, „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!“, „გვახსოვდეს აფხაზეთი!“, „დავბრუნდებით ჩვენ აფხაზეთში!“

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ მოსწავლეები: **მარიამ ბახტურიძე**, **ბონდო ჯელია**, **ბესიკ იაკობაშვილი**, **საბა მოსიაშვილი**, **გიორგი გელაშვილი**, **გეგა ონიანი**, **მარიამ მაჭარაშვილი**, დები **თეკლა** და **მარიამ ბეთხოშვილები**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მოსწავლეები, მშობლები და სასწავლო ნაწილის გამგე **ნუნუ ბაღდოშვილი**.

ეთერ ბუცხრიკიძე
ღონისძიების ხელმძღვანელი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის თავმჯდომარე, VI კლასის დამრიგებელი

შვედი ექიმები – ხარაგაულელ ბავშვებს

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის, **შავლეგო ტაბატაძის** მოწვევით, შვედეთის ელჩმა საქართველოში და სომხეთში **ულრიკ თიდესტრომმა** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შვედი ექიმები ჩამოიყვანა საქველმოქმედო აქციის ჩასატარებლად. შვედეთის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის ექიმებმა 800-ზე მეტი ადამიანი გამოიკვლიეს, რომელთაგან 16-ს სასმენი აპარატი დასჭირდა და შვედმა ექიმებმა უფასოდ გადასცეს.

შვედი ექიმები 2 კვირის განმავლობაში დარჩებიან და მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში სკოლამდელი ასაკის ბავშვებსა და სკოლის მოსწავლეებს გამოიკვლევენ. ხარაგაულის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ექიმებს ჩაუტარდათ სემინარები, ისინი გაივლიან გადამზადებას.

იმერეთის გუბერნატორმა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, შვედ ექიმებს სამადლობელი სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ექიმთა ჯგუფი ხარაგაულში წელს მეორედ იმყოფება და მათ მიერ განეული ქველმოქმედება, დაახლოებით, ასი ათასი ლარის ღირებულებას შეადგენს.

რევაზ თოფურია

ინფორმაცია

მშვიდობა ჩვენი მომავალია

1 ოქტომბერს, აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვიდობო და საქველმოქმედო ინიციატივების ფარგლებში, გაიმართა მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი კვირეულის საზეიმო დახურვა და ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, რომელიც ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდები, სტუდენტები, ინტელიგენცია, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, უხუცესი ადამიანები.

აღნიშნული პროექტის ორგანიზატორები იყვნენ: აფხაზეთის განათლების და კულტურის ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის სახელოვნებო განათლების განყოფილება და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირი „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“.

პროექტი ქალაქ თბილისის მერიის, აფხაზეთის მთავრობის, საპატრიარქოს და აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის (ხელმძღვანელი – **ი. ირემაძე**) მხარდაჭერით განხორციელდა.

საყოველთაო მშვიდობისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და კომპაქტურად ჩასახლებული ბენეფიციარებისათვის ეგიდით „მშვიდობა ჩვენი მომავალია“, შემდეგი აქტივობები განხორციელდა: სამშვიდობო აქციები ქალაქის ცენტრალურ ადგილებში, კონცერტები ღია ცის ქვეშ, აფხაზეთის ახალგაზრდული შემოქმედებითი ანსამბლების და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით; აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარების მშვიდობის თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, საჰაერო ბუშტების გაშვება სამშვიდობო გზავნილებით, შემოქმედებითი კონფერენციები თემაზე: „მე და მშვიდობა“, „მშვიდობის გზით“, „მშვიდობა უდრის მომავალს“, ღია გაკვეთილები მშვიდობაზე და სხვ.

აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდებისადმი მონაწილეებს გააცნო აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის წევრმა, **მარიამ დემურიამ**. საყოველთაო მიმართვის ტექსტი გადაეგზავნა ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაციას „იუნეკოს“.

კვირეულში 200-ზე მეტმა მოზარდმა და სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ აფხაზეთის მთავრობის საპატიო სიგელებით, წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ზეიმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ **ვახტანგ ყოლბაიამ**; აფხაზეთის განათლების და კულტურის მინისტრის მოადგილემ **ბესიკ ოდიშარიამ**; სახელოვნებო განყოფილების უფროსმა **ნ. ნასიძემ**, ჟურნალისტმა – **მ. ნიკოლეიშვილმა**, აფხაზმა ქალბატონმა **ზაირა შანბამ**, პოეტმა **ტარიელ მუმლაძემ**, ღონისძიების სპონსორებმა, ქველმოქმედმა ქალბატონებმა: **გულიკო ორაგველიძემ** და **ფლორა შენგელიამ**, აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ ვიცე-პრეზიდენტმა, „საქართველოს უნივერსიტეტის“ პირველკურსელმა **ანანო კუპრავამ** და სხვებმა.

სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს მშვიდობის როლსა და მნიშვნელობაზე, მომავალი თაობების აქტიურ ჩართულობაზე მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, სიკეთეზე, სიყვარულზე, პატივისცემაზე, შენდობაზე, მეგობრობაზე, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მშვიდობიანად დაბრუნებაზე.

პროექტის მხატვრულ ნაწილში მონაწილეობდნენ: ფოლკლორის ეროვნული სკოლის ანსამბლის წევრები (ხელმძღვანელი – **გიორგი უშიკიშვილი**), სამეჯლისო ცეკვების გოგონათა ანსამბლი „გაზაფხული“ (ხელმძღვანელი – **ირინა მიროტაძე**), ინდივიდუალური შემსრულებლები: კომპოზიტორი და მომღერალი **მარეხ მურღულია**, დეკლამატორები: **ნათია თორია, მარიამ დემურია, ელენე კოპალიანი, საბა ანთაძე, საბა ჩოღოშვილი,** აფხაზეთის ვ. ვეკუას სახელობის №3 საჯარო სკოლის უფროსკლასელები: **სანდრო ბასარია, ანი ჩაკვეტაძე** და სხვები.

მშვიდობის კვირეულისადმი მიძღვნილ გამოფენა-გაყიდვაზე, თემატურად მრავალფეროვანი 100-ზე მეტი ნამუშევრიდან, პროექტის მონაწილეთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ნორჩ მხატვართა – **საბა ჩოროშვილის, მარიამ ჩარკვიანის, მარიამ მეტრეველის ლუკა გელაშვილის, ნინო გახარიას, სანდრო კუჭავას, ნუცა ჯაიანის, გიორგი საჯაიას, დავით ბერაიას** და დიზაინერ **ელისო ჯოჯუას** ნამუშევრებმა. ნახატების გაყიდვიდან შემოსული თანხა, აფხაზეთიდან დევნილ შემოქმედი ახალგაზრდობის სახელით, მსოფლიოს ბავშვთა საყოველთაო მშვიდობის ფონდში გადაირიცხა.

„დღეს თუ არა ხვალ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და აღვადგენთ ხიდს, რომელიც მტერმა დაგვინგრია. აუცილებლად ვიპოვით გზას ჩვენი აფხაზი თანატოლების გულებისკენ მიმავალს.

და ჩვენ, მომავალი თაობა, შევძლებთ ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლოს გამთლიანებას, მის ხელახალ აღორძინებას.“ – ღონისძიების წამყვანის, **ანანო კუპრავას** ამ იმედიანი სიტყვებით დასრულდა მშვიდობის კვირეულის საზეიმო დახურვისა და ხანდაზმულთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

დაბრუნებამდის...

ნონა ბერაია
პროექტის ავტორი

ინფორმაცია

⇨ **სკოლა აშენებულია 17 021 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე და გათვლილია 192 მოსწავლეზე.**

⇨ **თანამდროვე სტანდარტების ორსართულიანი შენობა მოიცავს სპორტულ და საქტო დარბაზებს, ბიბლიოთეკას, ექიმის კაბინეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კაბინეტებს.**

⇨ **შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემით და ინტერნეტით.**

ხუციბერიძის ბრინჯაო

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

არგენტინაში მიმდინარეობს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, სადაც საქართველომ უკვე მოიპოვა პირველი მედალი: ტყვიის სროლაში 10-მეტრიან დისტანციაზე მესამე ადგილზე გავიდა **ნინო ხუციბერიძე**.

ქუთაისელი მსროლელი საკვალიფიკაციო ეტაპზეც ყოჩაღად გაისარჯა – 565 ქულა დააგროვა და გამოსვლა მეოთხე ადგილზე დაასრულა.

შესარჩევ ეტაპში შეუდარებლად გამოვიდა საბოლოო გამარჯვებული, ინდოელი **მანუ ბჰაკერი**, 576 ქულა დააგროვა და გვარიანად გაუსწრო მდევრებს. ხუციბერიძემ წინ კიდევ ორი მსროლელი გაუშვა, რომლებმაც ქულათა თანაბარი მარაგი, 569 დააგროვეს – რუსი **იანა ენინა** და ჩინელი **კაიმან ლუ**. ფინალში ასევე მოხვდნენ ლიეტუველი **გრეტა რანკელიტე**, ტაილანდელი **კანიაკორნ ჰირუნპოემი** (ორივე – 562), ერაყელი **ფატიმა აბას ალ-კააბი** (561) და სლოვენიელი **ანია პრეზელი** (560).

ხუციბერიძემ არგენტინაში გამოსვლა კარგად დაიწყო და პირველივე სერიაში საყურადღებო შედეგი აჩვენა – 98 ქულა. მეორეშიც არა უშავდა – 96 ქულა, თუმცა ამის შემდეგ შედარებით მოუკლო, აი, მესამე სერია კი ჩააგდო – 89. მომდევნო სამი სერია მან ერთნაირი შედეგით – 94-94 ქულით დაასრულა და, ჯამში, 565 ქულა დაუგროვდა. მას გაცილებით უკეთესი სასტარტო შედეგებიც აქვს და ახლაც ცოტა უფრო სტაბილურად რომ გამოსულიყო, ვინძლო, გაემეორებინა, თუმცა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა – ფინალში გავიდა, იქ კი საკვალიფიკაციოს შედეგები ნულდება, ანუ მთავარი იყო, ფინალში გაეკეთებინა კონცენტრაცია.

საბედნიეროდ, ქართველმა ჩუბინმა ეს შეძლო და რამდენიმე წრე წარმატებით გაიარა. ფინალში პირველად ლიეტუველი მსროლელი გამოვარდა, მერე – ერაყელი, მათ ჩინელი და სლოვენიელიც მიჰყვნენ, სულ ბოლოს კი ცეცხლის ხაზს ტაილანდელი ჩუბინი დაემშვიდობა. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ხუციბერიძემ, მინიმუმ, ბრინჯაო გაინაღდა. ვერ ვიტყვით, რომ მან ყურადღება მოადუნა – მებრძოლი ხასიათი ნამდვილად აქვს, რაც თუნდაც ამ ტურნირზეც დაამტკიცა ბუენოს აირესში, მაგრამ ფინალურ სამეულს, მასთან ერთად, საკვალიფიკაციო ეტაპის მომგები ინდოელი და რუსი შემორჩნენ, ანუ ყველაზე ძლიერები. საბოლოოდ ხუციბერიძე მართლაც მესამეზე დარჩა, ჩემპიონი ინდოელი ბჰაკერი გახდა, ენინამ კი ვერცხლი მოიპოვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ენინა ხუციბერიძესთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან გარკვეული როლი შეასრულა ჩვენებურის მიერ ლიცენზიის მოპოვებაში: თებერვალში, ევროპის ჩემპიონატზე ნინო მეოთხეზე გავიდა, თუმცა სამეულში შესულთაგან რუსს უკვე ჰქონდა ამ თამაშების ლიცენზია, რის გამოც საგზური ქართველმა მიიღო.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი ხუციბერიძე წლეულს მშვენიერ სეზონს ატარებს: ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში მეოთხე ადგილზე გავიდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში შევიდა და მეშვიდე ადგილზე დარჩა, ასევე ახალგაზრდებში მოიგო სერბეთის „დიდი პრიზი“, სეზონი კი არგენტინაში მოპოვებული ბრინჯაოთი დაასრულა. მართალია, წლის ბოლომდე ჯერ კიდევ დარჩა თბილისში გასამართი რამდენიმე შეჯიბრება, მაგრამ ეს უკვე საერთაშორისო ტურნირებია.

ამდენად, საქართველომ მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე პირველი მედალი მოიპოვა, თუმცა 9 ოქტომბრის საღამოს მას კიდევ ორი ვერცხლი დაემატა, თამაშების ვიცე-ჩემპიონები გახდნენ: ძიუდოისტი **ილია სულამანიძე** (100) და ძალოსანი **არჩილ მალაყმაძე** (69).

საიუბილეო ტურნირი

5-7 ოქტომბერს, ამბროლაურმა, თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ საღარაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც წლეულს საიუბილეო იყო, მე-15-დ გაიმართა. მასში საქართველოს ყველა რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ, უცხოელთაგან კი სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები გამოდიოდნენ. შეჯიბრებაც ფრიად წარმომადგენლობითი გამოდგა, რადგან 250-მდე მოზარდი ასპარეზობდა.

შეჯიბრება ჭაბუკთა ორ ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. უმცროსებში, ანუ 2006-2008 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: გორელები – **ზურაბ დოდიაშვილი** (23), **გიორგი მაისურაძე** (26), **ზურაბ აბალაკი** (32) და **კონსტანტინე პეტრიაშვილი** (42), ონელი **ნიკოლოზ ბუხრაშვილი** (29), ამბროლაურელები – **ლუკა მარგველიძე** (38), **ნიკა სახუნაშვილი** (მძიმე) და სომეხი **ტიგრან ბინატიანი** (35). აქვე შევნიშნავთ, რომ 42 კილოგრამში გამარჯვებული გორელი კოტე პეტრიაშვილი ეროვნული ნაკრების მძიმეწონოსანი ლიდერის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური პრიზიორის, **გენო პეტრიაშვილის** უმცროსი ძმაა.

უფროს ასაკში 2003-2005 წლებში დაბადებულები ჭიდაობდნენ. აქ ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ: თბილისელი **აბას მაგომედოვი** (38), ამბროლაურელები – **საბა კობახიძე** (41), **ნიკოლოზ სანთელაძე** (44), **გიორგი გოგრიჭიანი** (48), **ბეჟან ბარსონიძე** (52), თბილისელი **გიორგი უგულავა** (57), სამტრედიელი **ოთარ ადეიშვილი** (62), ონელი **თორნიკე სამხარაძე** (68), საგარეჯოელი **დავით კუჭუაშვილი** (75) და საჩხერელი **ლევან ბაზაძე** (85).

შეჯიბრების საუკეთესო მოჭიდავედ ჭაბუკებში ევროპის წლევანდელი ფინალისტი **ნიკოლოზ სანთელაძე** დაასახელეს.

ოლიმპიადის ბრინჯაო, დროშა და სკანდალები

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა პირველმა ნაკრებმა 17 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბათუმში დასრულებულ 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ჩვენებმა ბოლო ტურში გვარიანი სიურპრიზი შემოგვთავაზეს, იოლად აჯობეს სომხეთის ძლიერ ნაკრებს – 3:1. ჩვენგან **ნანა ძაგნიძემ** და **ლელა ჯავახიშვილმა** გაიმარჯვეს, ხოლო **ნინო ბაციაშვილმა** და **ბელა ხოტენაშვილმა** ფრედ ითამაშეს. ჩემპიონი ჩინეთი გახდა 18 ქულით, რომელმაც ბოლო ტურში რუსეთთან ფრედ ითამაშა და ტიტული დაიცვა. 18 ქულა დააგროვა უკრაინამაც, თუმცა მათ უარესი დამატებითი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ და ვერცხლს დასჯერდნენ.

ბრინჯაოს მედალი ცუდი არ არის. მით უფრო, იყო შანსი, სულაც უმედლოდ დავრჩენილიყავით – ბოლო ტურში მხოლოდ ჩვენი შედეგი არ იყო გადამწყვეტი, კონკურენტების თამაშზეც ვიყავით დამოკიდებული. საბოლოოდ მედალი მოვიპოვეთ, თუმცა ჩვენი ნაკრებისგან ცოტა მეტს ველოდით. არადა, ჩვენმა მანდილოსნებმა რამდენიმე გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგეს შედარებით სუსტ გუნდებთან, თორემ ჩემპიონობაც სავსებით რეალური იყო. მაგალითად, დასანანი იყო ჩეხებთან გაყოფილი ქულა. არადა, ბოლო ტურში ჩვენმა ნაკრებმა მათ იოლად, 2.5:1.5 მოუგო.

საქართველოს ქალთა მეორე ნაკრებმა 16 ქულა დააგროვა და მე-9 ადგილზე გავიდა, ახალგაზრდებით დაკომპლექტებული მესამე გუნდი კი 13 ქულთ 41-ეა.

გაცილებით წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი ვაჟები. პირველი ნაკრები 14 ქულით 28-ე ადგილზე გავიდა, ხოლო მეორე გუნდი 13-ით 43-ეა. ვაჟთა მესამე ნაკრებმაც 13 ქულით დაასრულა გამოსვლა, თუმცა მათ 51-ე ადგილი ერგოთ.

თავად ოლიმპიადის დასკვნითი ნაწილი პოლიტიკურად გვარიანად დატვირთული და ქართულ-რუსული აქცენტებით გაჯერებული გამოდგა. რუსებმა ჭადრაკშიც არ უღალატეს ჩვეულებას და პოლიტიკა აქაც გაურიეს, თანაც – დიდი დოზით. მომდევნო ოლიმპიადას რუსეთის ქალაქი ხანტი მანსიისკი უმასპინძლებს, რომელმაც ბათუმისგან ტრადიციულად გადაიბარა ოლიმპიადის დროშა და მასპინძლობის უფლება. რუსებმა, ასევე ტრადიციულად, ოლიმპიადის მონაწილეებს, სტუმრებსა და პერსონალს ბუკლეტები და სასაჩუქრე ნაკრებები დაურიგეს, რომელშიც საქართველოს რუკაც იდო, ოღონდ... აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე! ეს ერთ-ერთმა მოხალისემ აღმოაჩინა და მყისვე აცნობა საორგანიზაციო კომიტეტს, მათ რუსეთის დელეგაციას აცნობეს, რომელმაც მომხდარის გამო ბოდიში მოიხადა და ყველაფერი დიზაინერებს დააბრალა!

თუმცა ინციდენტი ამით არ ამოწურულა და დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც გახსნის ღონისძიებასავით პომპეზური გამოდგა, აჭარის ავტონომიის ლიდერმა **თორნიკე რიჟვაძემ** რუსები პოლიტიკურად „დააშამათა“: „ეგრე არ არი, თაყაო...“, ყველაფერი დიზაინერებს გადააბრალოთო და საჩუქრად საქართველოს რუკა გადასცა! ბუნებრივია, რუსებს ფაქტი არ გაუპროტესტებიათ, მსოფლიოს თვალში კი კიდევ ერთხელ შერცხვნენ. თუმცა, ამას რომ დიდად არ დაგიდევენ, არაერთხელ დავრწმუნდით.

ეს არ ყოფილა საჭადრაკო ოლიმპიადის ერთადერთი „რუსული აქცენტი“: ბათუმშივე გაიმართა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის – ფიდე-ს არჩევნები, რომელზეც პრეზიდენტად რუსი **არკადი დვორკოვიჩი** აირჩიეს. ეს ამბავი გამორჩეული იმით გახდა, რომ დვორკოვიჩი 2008-2012 წლებში... რუსეთის პრეზიდენტ **დმიტრი მედვედევის** მრჩევლად მუშაობდა და მისი მაშინდელი რიტორიკა როგორიც იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. საზოგადოების აღშფოთებაც ამ ამბავმა ამიტომ გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ განცხადებაც გაავრცელა და აღნიშნა, რომ არჩევნებს ისინი არ ატარებდნენ. ფედერაცია ამაში მართალია, მაგრამ დასანანია, რომ საოკუპაციო კანონი ყველაზე ერთიანად არ ტარდება – მსგავს პერსონებს მართლაც არ უნდა ვუშვებდეთ ქვეყანაში. იმავეს ვიტყვი ივლისში ჭიდაობაში გამართულ „კარტოზია-ბალავაძის მემორიალზე“, როცა თბილისს, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი არასასურველი სტუმარი ეწვია რუსეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან და ოსეთიდან, მათ შორის – ცხინვალში დაბადებულ-გაზრდილი ოსებიც. ბუნებრივია, იდეალური ვარიანტია, პოლიტიკას სპორტში თუ არ გავურევთ, მაგრამ იგივე საქართველოს დროშის ისე დამახინჯებულად დაბეჭდვა ჩარევაცაა და მეტიც. ბაქოში ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე სომხეთის ნაკრები ვერ ჩავიდა, თუმცა ეს არაფერია რამდენიმე დღის წინ, საჭადრაკო ოლიმპიადის დროს მომხდართან დაკავშირებით: ერთა ლიგის თამაშზე ბაქოში ვერც ლონდონის „არსენალის“ სომეხი თავდამსხმელი **ჰენრიკ მხითარიანი** ჩავიდა, რადგან აზერბაიჯანმა უსაფრთხოების გარანტიები ვერ გასცა. თვით მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა ბრიტანეთიც კი ვერაფერს გახდა და ლონდონური კლუბი სტუმრად თავისი ლიდერის გარეშე გაემგზავრა. ასეთ ფონზე უხერხულია, აგვისტოს ომის ერთ-ერთ არქიტექტორს ტაშ-ფანდურით ვუმასპინძლოთ.

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ეროვნული იმტკიცელები

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსში (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აბიორგანული პროზა ლიტერატურის მასწავლელთათვის

4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია

10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის საბაკალავრო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ეროვნული ანბანი

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საგანმანათლებლო წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.



„რუკების“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტрацია და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

ფასი – 9 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი (ერთი ცალი)

გავიმეოროთ მათემატიკა
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.